ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**„ახალი თაობა“+ „სერვანტესი“**

**8 ლარი**

**16 მაისიდან 30 მაისამდე**




პარასკევი, 20 მაისი, 2011 | №118 (5499) | ფასი: 30 თეთრი

# ხელისუფლებისგან პროვოკაციასა და ძალადობას ველოდები



გვ.2

## ხალხმა ხელისუფლებას უნდა უთხრას „არა!“

დეპუტატი კოპალიანი საპროტესტო აქციებს უერთდება

გვ.5





## მოვუწოდებ პოლიციას, კანონისადმი მორჩილება გამოიჩინონ

გვ.6



გვ.3

## აქციებზე მონოპოლია ნინო ბურჯანაძემ გამოაცხადა

## სააკაშვილს თანამდებობაზე არავინ დატოვებს

გვ.8

## „თუ ხელისუფლება მოქალაქეების სიცოცხლეს შეეხება, ჩვენ სათანადოდ მოვიქცევით“

გვ.7





გვ.2

## კადაფმა საწვავი ფოთში შეიძინა

სასაზღვრო უწყება ინფორმაციას უარყოფს

## გავა თუ არა ოპოზიციური რვიანი ქუჩაში



გვ.4

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ბათიაშვილი თორთლაძის განცხადებებზე კომენტარის გაკეთებას არ აპირებს

5 ნინო ბურჯანაძე „ქართული პარტიის“ პოზიციას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა

6 აზერბაიჯანიდან საქართველოს ელჩის გამოწვევას ითხოვენ

7 ბუზეკი ახალი რეფორმების გატარებას გვირჩევს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ხელისუფლებისგან პროვოკაციასა და ძალადობას ველოდები

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ხალხის პარტიის თავმჯდომარე კობა დავითაშვილთან



***— ბატონო კობა, როგორც ითქვა, რვიანმა ხელისუფლებას 30 მაისამდე მისცა ვადა. რას ელოდებით 30 მაისის შემდეგ, ფიქრობთ, რომ ხელისუფლება წამოვა დათმობებზე?***

— ეს ვადა დათქმული იქნა პროცესის დაწყებისთანავე, რომ მაისის ბოლომდე უნდა ყოფილიყო კონკრეტული პასუხი ხელისუფლებისა. ჩვენ კიდევ ერთხელ დავსვით ეს საკითხი და მოვითხოვთ წერილობით პასუხს — ერთ წინადადებას, თანხმობას ან უარს, ამის შემდეგ კი მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. ხელისუფლების მხრიდან ჯერჯერობით არანაირი პასუხი არ არის.

***— სავარაუდოდ, როგორი იქნება რვიანის სამოქმედო გეგმა? ითქვა, რომ შესაძლოა ქუჩაშიც გავიდეს რვიანი.***

— არ გამოვრიცხავთ მაგას. საერთოდ, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ აქციების წინააღმდეგი კი არა, მომხრე ვართ. უბრალოდ, მიგვაჩნია, რომ აქცია უნდა გაიმართოს სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით და ასეთ აქციას ექნება საერთაშორისო მხარდაჭერა. ჩვენ მოვუწოდეთ ჩვენს კოლეგებს პირველ რიგში გაერთიანებისკენ, იმიტომ რომ, მოგეხსენებათ, აქციების მოსურნეთა რიგებში არ იყო ერთიანობა, სამწუხაროდ, არ არის დღემდე და ცალცალკე ატარებენ ისინი აქციებს. გარდა ამისა, მოვუწოდეთ, წამოყენებულიყო სამართლიანი არჩევნების მოთხოვნა, რაც მხარდაჭერილი იქნებოდა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. სამწუხაროდ, ერთი მხრივ, მივიღეთ ის, რომ ერთიანობა ვერ შედგა და, მეორე მხრივ, აქცია ტარდება ისეთი მოთხოვნით, რომელსაც საერთაშორისო მხარდაჭერა ვერ ექნება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ეს ჩვენთვის ძალიან სამწუხაროა.

***— და მონაწილეობასაც არ მიიღებთ მასში?***

— ბუნებრივია, როდესაც აქციაზე გეპატიჟებიან, შენი აზრიც უნდა გაითვალისწინონ აქციის მოთხოვნებთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი მონაწილეობა რთულია.

***— რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ ხელისუფლება პასუხს წერილობით მაინც მოგაწვდით?***

— დარწმუნებული ვარ, პასუხი იქნება. უბრალოდ, ჩვენ ვალდებული ვიყავით, წინასწარ დათქმული ვადა საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაგვეცვა. ჩვენ ჩვენს სიტყვას პატივს ვცემთ და, გულწრფელად რომ გითხრათ, ხელისუფლებისგან იმავე პატივისცემას არ ველით.

***— როგორია საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია?***

— ამ შემთხვევაში ჩვენი პოზიციები სრულად ემთხვევა. ისინი მოუწოდებენ ხელისუფლებას, დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და რეალურ კომპრომისებზე წავიდეს ოპოზიციასთან, იმ თვალსაზრისით, რომ შედგეს დემოკრატიული არჩევნები. თუმცა, ამ ხელისუფლებას ეს არ სურს.

***— იმ შემთხვევაში, თუ არ იყო პასუხი ხელისუფლების მხრიდან, ითქვა, რომ რვიანი პოლიტიკურ კამპანიას იწყებს, ეს რას ნიშნავს?***

— ამ შემთხვევაში ჩვენ ამ პროცესს მივცემთ კამპანიის სახეს, შემოვივლით საქართველოს, საზოგადოებას ჩავაყენებთ საქმის კურსში და ხალხთან ერთად ვიბრძოლებთ სამართლიანი არჩევნებისთვის. ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ, პასუხის გაუცემლობა ბრძოლის შეწყვეტის კი არა, გამძაფრების აუცილებლობის წინაშე დაგვაყენებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას არ სურს სამართლიანი არჩევნები.

***— ძალით როგორ დაათმობინებთ?***

— ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა ეს გამოცდილება. ეროვნული მოძრაობა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით სწორედ ამ გზას დაადგა და აიძულა მაშინდელი კომუნისტური რეჟიმი, შეეცვალა საარჩევნო კანონი. მან გაიმარჯვა კიდეც და მოვიდა ხელისუფლებაში.

***— რაც შეეხება 21 მაისს დაგეგმილ სახალხო კრების აქციას, რას ელოდებით ამ აქციისგან?***

— მე მოველი ხელისუფლების პროვოკაციასა და ძალადობას, რაც მათ სჩვევიათ. სამწუხაროდ, ისეთი მოთხოვნებია აქციაზე, რომლებიც საერთაშორისო მხარდაჭერით ვერ სარგებლობს. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ეს აქცია უფრო სამწუხაროა იმ თვალსაზრისით, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩემი აზრით, ბრძოლის არასწორ ტაქტიკას ირჩევს.

***— ფიქრობთ, რომ უშედეგო იქნება ეს გამოსვლები?***

— მე ასე მგონია, თუმცა, არ მინდა და არ მიხარია, რომ ეს ასეა.

***— ამბობენ, რომ ხელისუფლება აუცილებლად წავა პროვოკაციაზე. როგორ ფიქრობთ, დაარბევენ აქციას დაიჭერენ მის მონაწილეებს?***

— ამ ხელისუფლების ხელში არაფერი არ არის გამორიცხული და უფრო მეტიც, ეს მოსალოდნელია.

***— 26 მაისს რას ელოდებით, როგორ მორიგდებიან ოპოზიცია და ხელისუფლება?***

— მახსოვს, 9 აპრილის აქციებს რომ ვმართავდით ორი წლის წინ, აღლუმი ვერ ჩატარდა თბილისში. სავსებით შესაძლებელია, ახლაც ასე მოხდეს, თუმცა, მასშტაბები იმ აქციისა ბევრად დიდი იყო, ვიდრე მოსალოდნელი აქციისა, იმიტომ რომ მაშინ ოპოზიცია გაერთიანებული იყო, ახლა კი, ჩვენდა სამწუხაროდ, იმ პოლიტიკურ ძალთა შორისაც, რომლებიც აქციებს ემხრობიან, არ არის ერთიანობა და, ბუნებრივია, ეს აისახება მონაწილეთა რიცხვზე.

***— ბატონმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, თუ ხელისუფლება მოსახლეობას დაარბევს, ხალხის გვერდით დავდგებითო. თქვენ რა პოზიცია გაქვთ?***

— ბუნებრივია, ასე იქნება. ჩვენ ყოველთვის ხალხის გვერდით ვიდექით და ხალხის გვერდით დავდგებით.

## ირაკლი ოქრუაშვილი მოსკოვში საიდუმლო შეხვედრებს მართავს



„რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილი მოსკოვში საიდუმლო შეხვედრებს მართავს.

„ინტერპრესნიუსს“ აღნიშნული ინფორმაცია “ქართული პარტიის“ პრესსამსახურში არ დაუდასტურეს. პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ოქრუაშვილი პარიზში იმყოფება.

**ინტერპრესნიუსი**

## ბათიაშვილი თორთლაძის განცხადებებზე კომენტარის გაკეთებას არ აპირებს



„სახალხო წარმომადგენლობითი კრების“ მმართველი ორგანოს წარმომადგენელი ირაკლი ბათიაშვილი პარლამენტარ გია თორთლაძის მიერ „სახალხო კრების“ შესახებ გაკეთებულ განცხადებებზე კომენტარის გაკეთებას არ აპირებს.

როგორც ბათიაშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა, მას თორთლაძესთან ცუდი ურთიერთობა არასოდეს აკავშირებდა, ოღონდ ამ უკანასკნელს პატივს სცემდა, „როგორც პიროვნებასა და დიდ მთამსვლელს“

— სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ, — განაცხადა ბათიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ თორთლაძემ „სახალხო კრება“ რუსეთის ინტერესების გატარებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ „სახალხო კრებაში“ პოლიტიკურად ანგაჟირებული ხალხია თავმოყრილი.

**მედიანიუსი**

## „სამოქალაქო ფრონტი“ შოთიკო იამანიძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს

„სამოქალაქო ფრონტი“ „ქართული პარტიის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერის შოთიკო იამანიძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.

საქალაქო სასამართლოში „ქართული პარტიის“ წარმომადგენლის შოთიკო იამანიძის სასამართლო პროცესზე გუშინ მომხდარ ინცინდენტს „სამოქალაქო ფრონტი“ ეხმაურება. „სამოქალაქო ფრონტის“ ერთერთმა ლიდერმა გოგიტა დალაქიშვილმა ოფისში პრესკონფერენცია გამართა და განცხადება წაიკითხა.

მისივე თქმით, „სამოქალაქო ფრონტი“ გმობს აღნიშნულ სასამართლო პროცესზე მოსამართლის განკარგულებით მანდატურების მიერ ჩადენილ ძალადობას და მოუწოდებს მოსამართლეებს, ნუ გადააჭარბებენ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ამასთან, პატივი სცენ რიგითი მოქალაქეების უფლებებს.

გოგიტა დალაქიშვილმა საქალაქო სასამართლოში მომხდარ ინცინდენტთან დაკავშირებით ასევე განმარტა, რომ „სამოქალაქო ფრონტის“ ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილის დარბაზში შესვლის დროს ფეხზე არ ადგა, რადგან იგი სააკაშვილი-მერაბიშვილის სასამართლოს პატივს არ სცემს. ამის გამო, მოსამართლის ბრძანებით, მანდატურებმა ჯიშკარიანი დარბაზიდან გააძევა. ამ ინცინდენტის შემდეგ „პირჯვრის გამოსახვის გამო“ დარბაზიდან შოთიკო იამანიძის ბებია ნინო მომცემლიძეც გააძევეს. მას ხელები გადაუგრიხეს, რასაც დარბაზში მოქალაქეთა პროტესტი მოყვა. ისინი მოსამართლემ ასევე გააძევა დარბაზიდან.

„სამოქალაქო ფრონტი“ ასევე ამტკიცებს, რომ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, მანდატურის სამსახური ასევე შეეცადა, შოთიკო იამანიძის მამის, დავით იამანიძის დაკავებას, რომელიც საკუთარი დედის, ნინო მომცემლიძის დაცვას ცდილობდა. თუმცა ამის შესაძლებლობა მანდატურებს მათ არ მისცეს.

„ქართული პარტიის“ წევრ შოთა იამანიძეს წინასწარი დაპატიმრება შეეფარდა. ეს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა დღეს მიიღო.

ამით მოსამართლემ ბრალდების მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილა. შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა დაცვის შუამდგომლობა იამანიძის თავდებით გათავისუფლების შესახებ.

შოთა იამანიძე 17 მაისს დააკავეს. მას ნარკოტიკების შეძენა-შენახვა ედება ბრალად. ბრალდება 7-დან 14 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

# კადაფმა საწვავი ფოთში შეიძინა

თეა მარხვაი ე

### სასაზღვრო უწყება ინფორმაციას უარყოფს



მსოფლიოში ტერორისტი და დიქტატორი არ დარჩენილა, საქართველოსთან რაიმე კავშირი რომ არ ჰქონოდა. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი მუამარ კადაფი იყო. თუმცა როგორც გაირკვა, ბედმა თუ უბედობამ საქართველოსთან ისიც დააკავშირა.

თურქული გამოცემის „თუდეი ზამანის“ მტკიცებით, ლიბიის მმართველი, პოლკოვნიკი მუამარ კადაფი საბრძოლო ოპერაციებისთვის უკვე გადამუშავებული ბენზინის ნაკლებობას განიცდის და ამ მიზნით ლიბიის დროშის ქვეშ მცურავ ტანკერ „კარტახენას“ საშუალებით სხვადასხვა ქვეყნისაგან საწვავის შეძენას ცდილობს.

როგორც თურქული მედიასაშუალება იუწყება, ცოტა ხნის წინ „კარტახენამ“ ღუზა თურქეთის პორტ მერსინსა და საქართველოს საპორტო ქალაქ ფოთში ჩაუშვა, თუმცა თურქული და ქართული მხარეები უარყოფენ, რომ ტანკერმა ხსენებული ქვეყნებიდან საწვავი წაიღო.

ტანკერმა მერსინში ღუზა ნამდვილად ჩაუშვა, თუმცა მას აქედან საქონელი არ წაუღია. არსებობს ინფორმაცია, რომ „კარტახენამ“ საწვავის წაღება საქართველოდან შეძლო. ჩვენი ინფორმაციით, ხომალდის მფლობელი უცხოელია, ხოლო დროშა ლიბიას ეკუთვნის“, — განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

კარტახენას მიერ საქართველოდან საწვავით შევსების ფაქტს უარყოფს ქართული მხარეც.

— აღნიშნული ტანკერი ფოთის პორტში აპრილის შუა რიცხვებში შემოვიდა. მინდა გითხრათ, რომ მას საქართველოდან საქონელი არ წაუღია. ტანკერმა ფოთის პორტი უკვე დატოვა. ფოთში ერთი თურქული ტერმინალია, არ ვიცი, შესაძლოა იქიდან წაიღო რამე, — განაცხადა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელმა თურქულ მედიასთან საუბარში.

ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით განმარტებები საქართველოს სასაზღვრო უწყებამ გააკეთა. მათი თქმით, ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება.

ცნობისთვის: ლიბია ბენზინის ნაკლებობას, როგორც წესი, მშვიდობიან პერიოდშიც განიცდის, რადგან საკმარისი რაოდენობის ნავთობის გადამუშავებას ვერ ახერხებს. ქვეყანაში სამოქალაქო ომის დაწყებამდე მუამარ კადაფის ხელისუფლება ბენზინს სხვადასხვა ქვეყნისაგან ყიდულობდა. ცოტა ხნის წინ კი როგორც ცნობილია, ლიბიის წინააღმდეგ სანქციები დააწესეს, რაც ეკონომიკურ მხარესაც ითვალისწინებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სომხები აფხაზეთის აღიარებაში 30 მილიონს იხდიან?

**ქართველი დეპუტატები რომელიმე ქვეყნის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ ელოდებიან. რუსეთის მცდელობის მიუხედავად, ორი რეგიონის დამოუკიდებლობა ნაურუს, ნიკარაგუისა და ვენესუელის გარდა არავის უღიარებია.**

ნანა მიშელაშვილი

აქამდე გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ნაურუმ ამ აღიარების დროს საკმაოდ სოლიდური თანხა იშოვა. ნაურუმ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის 50 მილიონი აშშ დოლარი მიიღო.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „რუსეთის სომხების კავშირი", რომელსაც მეწარმე არა აბრამიანი ხელმძღვანელობს „მესამე ქვეყნების" მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების უზრუნველსაყოფად 90 მილიონი აშშ დოლარის დახარჯვას გეგმავს. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია „რუსეთის სომხების კავშირის" ხელმძღვანელობასთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია აბსურდულს უწოდებს „რუსეთის სომხების კავშირის" მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს.

— აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი პური და ყველი არ არის, რომ იყიდონ, — აღნიშნა პაატა დავითაიამ.

ვიცე-სპიკერის შეფასებით, ეს არის პროვოკაციული განცხადება, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურების მიერ არის მართვადი.

— დარწმუნებული ვარ და ეჭვი არ მეპარება, რომ სომეხი ხალხი ამაში არ არის ჩარეული. მიმაჩნია, რომ ეს არის მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან მართული პროვოკაცია, — აღნიშნა დავითაიამ.

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას, შოთა მალაშხიას განცხადებით, ამ ტიპის აღიარებაზე თავად რუსეთმა ჩაიქნია ხელი, რადგან ხედავს, როგორია ევროპის, მსოფლიოს პოზიცია, ამიტომ ეს გაჩერდა ნაურუსა და ვენესუელის დონეზე.

— ეთნოწმენდა, გენეციდი, ოკუპაცია — ეს არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე და ამ დანაშაულის გამო რუსეთის სახელმწიფო აუცილებლად აგებს პასუხს, მათ შორის, ისეთი სტრუქტურები, რომლებიც ამგვარი საქმით იქნებიან დაკავებული, რომ სამართლებრივ დონეზე გაათეთრონ ეთნიკური წმენდა და გენოციდი. ამგვარი რამ არც სტალინსა და არც ჰიტლერს არ გაურისკავთ, მით უმეტეს პუტინი ამ საკითხებს ვერანაირად ვერ გადაწყვეტს 21-ე საუკუნეში, — აღნიშნა შოთა მალაშხიამ.

მოსალოდნელია თუ არა, რომელიმე აფრიკულმა ქვეყანამ აღიაროს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა?

შოთა მალაშხია აფრიკული ქვეყნების მიერ ამ ორი რეგიონის აღიარებას გამორიცხავს. მისი თქმით, ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეას მიღებული აქვს რეზოლუცია, სადაც წერია, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია.

# ზუგდიდელი რესპუბლიკელები „სახალხო კრებას" შეუერთდნენ

რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის ოთხმა წევრმა ნიკო რაფავამ, ელგუჯა ქირიამ, ილია გაბელაიამ და გიორგი შეროზიამ გუშინ პარტია დატოვეს და „სახალხო კრებას" შეუერთდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ყოფილმა რესპუბლიკერებმა საგანგებო პრესკონფერენციაც გამართეს. მათი თქმით, რესპუბლიკურმა პარტიამ ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით არჩია, რაც არსებული პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით შეუძლებელია.

— სახალხო კრების გზა კი ხალხთან ყოფნაა. სწორედ ეს გახდა სახალხო კრებაში ჩვენი გადასვლის მიზეზი, — აცხადებენ ყოფილი რესპუბლიკელები.

ისინი თბილისში ჩამოსვლასა და 21 მაისს დაგეგმილ აქციებში მონაწილეობას.

როგორც „მედიანიუსს" რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნონა თოლორაიამ განუცხადა, პარტიის ყოფილი წევრები „სახალხო კრებაში" მხოლოდ ერთი მიზეზით გადავიდნენ და ეს ფულია.

— თითოეულ ადამიანს აქვს უფლება შეიცვალოს საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგია ან გადავიდეს სხვა პარტიაში, მაგრამ ეს ფულის სანაცვლოდ არ უნდა ხდებოდეს. იდეოლოგიები და ადამიანური ურთიერთობები ფულზე არ უნდა იცვლებოდეს, — აღნიშნა ნონა თოლორაიამ.

მედიანიუსი

# 21 მაისის აქციას „სვან პატრიოტთა კავშირი" უერთდება

სახალხო კრების მიერ დაანონსებულ 21 მაისის საპროტესტო აქციას „სვან პატრიოტთა კავშირი" უერთდება. ახალი წევრები სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრმა გია ბურჯანაძემ წარადგინა. მისი განცხადებით, სახალხო კრება 21 მაისს იწყებს გადამწყვეტ ბრძოლას, ამ ბრძოლაში კი უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია და სხვადასხვა კავშირის წევრები სახალხო კრების გვერდით დგანან.

„სვან პატრიოტთა კავშირის" ერთ-ერთი ხელმძღვანელის როლანდ ნიჟარაძის განცხადებით, სვანები იმ პროცესებით, რაც ქვეყანაში ხდება, განრისხებულნი არიან და სიტუაციის გამოსწორების მიზნით, ისინი მთავრობის და ხელისუფლების შეცვლას აუცილებლად მიიჩნევენ.

როგორც „სვან პატრიოტთა კავშირში" განმარტავენ, ეს კავშირი ბრძოლას ეროვნული ინტერესებისთვის გამიზნულად აპირებს. კავშირი მაისში შეიქმნა და მასში 500-მდე სვანია გაწევრიანებული.

ინტერპრესნიუსი

# აქციებზე მონოპოლია ნინო ბურჯანაძემ გამოაცხადა

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, საზოგადოება 21 მაისის მოლოდინშია. ყველას აინტერესებს, რა იქნება ხვალ. თქვენ, როგორც ექსპერტს, რა შეფასებებისა და პროგნოზების გაკეთება შეგიძლიათ?***

— მე ზოგადად მირჩევნია ვისაუბრო ფაქტზე და არა მოლოდინებზე. უპრიანი იქნებოდა, ეს ინტერვიუ ჩაგეწერათ 22 მაისს, მაგრამ, ვაცნობიერებ რა ინტერესს დამდგომი კვირის მიმართ 21 მაისის გადასახედიდან, ცხადია, დადგა თარილი, რომელიც ძალიან დიდი დაბეჯითებით იყო შეთავაზებული თუ თავს მოხვეული ჩვენი საზოგადოებისთვის და ხელისუფლების ცვლილებისთვის რაღაც საკრალურ რისხვად წარმოჩენილი. ის, რომ სახალხო კრება დღიდან მისი შექნისა საუბრობს ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობაზე, არავისთვის გახლავთ ახალი. იმისთვის, რომ, პრაქტიკულად, ერთპარტიული მხარდაჭერის საგანი გახდა ეს მიმზიდველი იდეა, ესეც ფაქტია და ვთვლი, რომ სამწუხარო ფაქტია, მაგრამ აქტიურობა კრებისა ამით, ვფიქრობ, არ შემცირებულა, რადგან პარტიამ საკუთარი თავი გააიგივა სახალხო კრებასთან, საკმაოდ დიდი რესურსი ჩადო კრების ჩამოყალიბების, მისი ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის და, ამდენად, მოლოდინები იმისა, რომ სახალხო პროტესტი იქნება მასობრივი, არსებობს არა მხოლოდ კრების მხარდამჭერთა, არამედ მის მიმართ სკეპტიკურად განწყობილთა შორისაც. ამასთანავე, ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადება იმაზე, რომ ეს არის გადამწყვეტი ბრძოლა, გვაგონებს ისტორიულ მაგალითებს, სადაც ვერ ჰპოვებთ ანალოგს წინასწარ ანონსირებული თარილებისა ამა თუ იმ რევოლუციური პროცესის წარმართვის წინ. ჩვენ უკანასკნელ პერიოდში თვალყურს ვადევნებთ და ვისმენთ მხოლოდ მუქარებს ხელისუფლების მიმართ. ხელისუფლებას ამ დროს გააჩნია სრული მზაობა იმისთვის, რომ ნებისმიერი მუქარა მოიგერიოს და მისი დამოკიდებულება არჩევნების მიმართ სწორედ იმიტომ გახდა ნაკლებად საინტერესო ხელისუფლებისთვის, რომ რაიმე ტიპის ძალადობრივი ქმედება და რევოლუციის იმიტირება მისთვის ბევრად უფრო მიმზიდველი თემაა, ვიდრე თავისუფალი, გამჭვირვალე არჩევნები.

***— სწორედ ამიტომ შეუქმნა რვიანს პრობლემები და ჩაშალა მოლაპარაკებები, რომ პროცესები ქუჩაში გადასულიყო?***

— რასაკვირველია. ნაციონალურ მოძრაობას არა აქვს არანაირი გამოცდილება დემოკრატიულ, გამჭირვალე არჩევნებში მონაწილეობისა, ხოლო ის ცოდნა, რომელიც მან დააგროვა მოქალაქეთა კავშირის წიაღში არსებობისას, სხვას არაფერს აძლევს მას, თუ არა უკიდეგანო საშუალებებს არჩევნების გაყალბებით ხელისუფლების შენარჩუნებისა. რაც შეეხება რაიმე ტიპის ძალადობრივ აქციებს, მათ უმალ დიდი სიამოვნებით მოუწევთ დაფიქსირება საკუთარი ძალის შეუვალობისა, ნახევარი საქართველო გამოცხადდება რუსეთის აგენტად, მეორე ნახევარი — მათ მიერ მოსყიდულებად და, რაც არ უნდა ძალა იყოს გამოყენებული საპროტესტო აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ, ეს იქნება წარმოჩენილი, როგორც შემდგარი სახელმწიფოს ინტერესების დაცვა და დემოკრატიის ზეიმი. ასეთი დემაგოგიის გაკვეთილები ჩვენ 2007 წელს გავიარეთ და, თუკი რაიმე ცვლილებების აღწერაა აუცილებელი 2007-სა და 2011 წლებს შორის, ერთ-ერთ ძირითად მომენტად გამოვყოფდი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ფერისცვალებას ამ მიმართულებით, მას შემდეგ, რაც ბარაქ ობამამ, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, გამოაცხადა, რომ მისი პარტნიორი არის ქვეყნის მოსახლეობა, სამოქალაქო საზოგადოება და არა მისი თუნდაც ერთგული ხელისუფლება. არა მხოლოდ გამოაცხადა, არამედ დაამტკიცა კიდეც ეს არაბული ქვეყნების მაგალითზე. შესაბამისად, დღეს ხელისუფლებას მოუწევს სხვა ნიშის ძიება საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერად და ვეჭვობ, რომ ეს ნიშა შეიძლება იყოს სადმე დასავლეთში. უმალ აღმოსავლეთისკენ და სამხრეთისკენ გაექცევა თვალი ხელისუფლებას, რათა მიიღოს მშვიდი დასტური იმ ქმედებებისთვის, რომლებიც მას ჩაფიქრებული აქვს, ამ შემთხვევაში, როგორც თავდაცვის აუცილებლობა, რადგან მუქარები, რომლებიც ისმის ხელისუფლების მიმართ, ჩემი აზრით, ზღვარგადასულია და დუმილი ხელისუფლებისა სულაც არ ნიშნავს მის სისუსტეს და არც მოუმზადებლობას რაიმე ტიპის არაადეკვატური, არადემოკრატიული ქმედებისა.

***— ალბათ, აუცილებლად დაუპირისპირებს ძალას და, შესაძლოა, პროვოკაციაზეც წავიდეს.***

— ამის გამოცდილება ჩვენ გვაქვს. ვიმედოვნებ, საპროტესტო აქციების ორგანიზატორები კარგად აცნობიერებენ არა მარტო საკუთარ პასუხისმგებლობას, არამედ ხელისუფლების უპასუხისმგებლობასაც.



***— ყველაზე დიდი კითხვის ნიშნები მაინც 26 მაისთან არის დაკავშირებული, რადგან ხელისუფლებამ აღლუმის გამართვა გადაწყვიტა...***

— არა მგონია, ფიზიკურად რაიმე ტიპის სერიოზული წინაღობა დახვდეს ხელისუფლებას, თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში 26 მაისს პარლამენტის წინ ჩაატარონ აღლუმი. პირიქით, ეს იქნება გასაგები მიზეზი საპროტესტო მუხტის აღკვეთისა, რომ ისინი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღესასწაულს ემუქრებოდნენ ჩაშლით, მაგრამ, არსებობს კიდევ უფრო გონიერი გამოსავალი და, თუ ხელისუფლება ნაკლებად ჯიუტი და, შესაბამისად, მეტად მიმზიდველი იქნება დასავლეთისთვის, ის სრულიად უმტკივნეულოდ შეძლებს, შეცვალოს აღლუმის ადგილი ისე, რომ არაფერი დააკლოს სახელმწიფო სიმბოლოების პატივისცემას.

***— აქვე მინდა, ქართული პარტიის პოზიციების შესახებ გკითხოთ. სულ საუბრობდნენ იმაზე, რომ ქართული პარტიისა და სახალხო კრების ერთ პოზიციაზე დადგომა მომხდარიყო, თუმცა, ამაოდ ისინი დაპირისპირებულნი იყვნენ ერთმანეთთან, თუმცა, მოულოდნელად ქართულმა პარტიამ კონსულტაციების დაწყება შესთავაზა სახალხო კრებას, მაგრამ, უარი მიიღეს იმ მოტივით, რომ ამის დრო აღარ არის...***

— მოტივაცია, როგორც კონსულტაციების შეთავაზება, ასევე მათი უარყოფა, ნაკლებად გასაგებია მოსახლეობისთვის, მათ შორის, ჩემთვისაც. ის ფაქტი, რომ ძალა ერთობაშია, არავისში არ იწვევს ეჭვს, მაგრამ ამ ერთობას ჩამოსაყალიბებლად ბევრად უფრო დინჯი წინმსწრები ნაბიჯები უნდა უძღოდეს და არა ის გალეშებული ლანძღვა ერთმანეთისა, რომლის მოწმენიც ვართ უკანასკნელი თვეების განმავლობაში. ასეა თუ ისე, პოლიტიკურ ძალას, რომელსაც უპირველესი მიზანი ხელისუფლების შეცვლა აქვს, არა მგონია, დიდი არჩევნის საშუალება ჰქონდეს და, ჩემი აზრით, ზოგადად პროცესის წარმატებისთვის ხელისშემშლელია ამ შემთხვევაში დაქსაქსულობა და ძველი წყენის იმედად დარჩენა. ვნახოთ, ნათქვამია, სხვა სხვის ომში ბრძენიაო. ჩემთვის უცნობია როგორც ოქრუაშვილის, ასევე ბურჯანაძის არგუმენტები, გეგმები, პერსპექტივები და მაცოცხლებელი ძალის რესურსი. ამიტომ ვიქნებით მოწმენი იმისა, რისი შემსწრენიც ვართ დღეისათვის.

***— ასევე რვიანის შესახებ მინდა გკითხოთ. ფაქტია, მოლაპარაკებები ჩაიშალა და რვიანში აცხადებენ, რომ 30 მაისამდე მისცეს ვადა ხელისუფლებას. რას უნდა ველოდოთ ამის შემდეგ, ისინიც ქუჩის აქციებს ხომ არ მიმართავენ, თუ შეიძლება ჰქონდეთ რაიმე ახალი სტრატეგია?***

— რვიანი, ვფიქრობ, მივა იმ დასკვნამდე, რომ ქუჩაში გამოსული ხალხი მაისის საპროტესტო აქციებისას არ არის ამომრჩეველი, რომელიც ერთი კონკრეტული პოლიტიკური პიროვნების აღზევებით არის დაკავებული. თუ ისინი 30 მაისის მოლოდინში აღმოჩნდებიან თამაშგარე მდგომარეობაში 30-მდე მიმდინარე სახალხო პროტესტის მიმართ, ვფიქრობ, გაუჭირდებათ შემდგომ თუნდაც მენტორის როლში შედეგების შეფასება, როცა თავად არ ხარ ამ შემთხვევაში ხალხის გვერდით ამა თუ იმ ფორმით. ფაქტია, პროცესების მართვაზე მონოპოლია გამოაცხადა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ და არ ვფიქრობ, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალის ლიდერს აქვს პრეტენზია ან სურვილი, შეეცილოს მას ამ მონოპოლიაში, მაგრამ, იმედი მაქვს, რვიანის პოლიტიკური არსენალი მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისგან პოლიტიკურ პერსონებსა და ხალხის განწყობას. თუ ხალხის განწყობის მიმართ რვიანი დარჩა ნაკლებად ყურადღებიანი, მას ამ ყურადღების მოპოვება ბევრად უფრო მძიმე შრომითა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოუწევს. ვნახოთ, რა იქნება. ერთადერთი სურვილია, მშვიდობიანი დამდეგი შაბათ-კვირა ყოფილიყოს და გონიერებას ეჩვენებინოს საკუთარი უპირატესობა ლონივრების მიმართ.

# „სახალხო კრებას" კიდევ ორი ორგანიზაცია შეუერთდა

„სახალხო კრებას" ორი არასამთავრობო ორგანიზაცია - „მოძრაობა სამართლიანი სასამართლოსთვის ევროკონვენციის მე-6 მუხლი" და „მსოფლიო ხალხთა ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობა" შეუერთდა.

„სახალხო კრების" პრესსამსახურის ინფორმაციით, „მოძრაობა სამართლიანი სასამართლოსთვის", რომლის თავმჯდომარე კობა კობახიძეა, 2009 წელს დაარსდა და სამართლიანი სასამართლო სისტემისთვის მებრძოლ იურისტებს აერთიანებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მსოფლიო ხალხთა ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობა" კი 2008 წელს არის დაფუძნებული. ის ათასზე მეტ წევრს აერთიანებს და მურად ნაიდვიძე ხელმძღვანელობს.

„მოძრაობა სამართლიანი სასამართლოსთვის" და „მსოფლიო ხალხთა ქრისტიანულ-მუსულმანური მეგობრობის" ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ორგანიზაციები სრულად არიან მობილიზებულები და 21 მაისიდან სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან.

ინტერპრესნიუსი

# ნიკა გილაურმა სინგაპურში მსხვილ ინვესტორებს ქართული ბიზნესგარემო გააცნო




საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური სინგაპურში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში გილაური აზიის უმსხვილესი საინვესტიციო ფონდებისა და კომპანიების ხელმძღვანელებს შეხვდა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, შეხვედრების მთავარი თემა იყო, ქართული რეფორმები, განუხორციელებული საინვესტიციო გარემო და ახალი ბიზნესპროექტები. გილაურის ცნობით, აზიელი ინვესტორები განსაკუთრებით ქართული ენერგეტიკის სფეროთი დაინტერესდნენ.

მედიანიუსი

# გავა თუ არა ოპოზიციური რვიანი ქუჩაში

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციური „რვიანი" შეხვედრებს საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან აგრძელებს. გუშინ „ახალი მემარჯვენეების" ოფისში „რვიანმა" შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებთან გამართა.**



„რვიანმა" რეგიონებში გასვლისა და მოსახლეობასთან შეხვედრების შემდეგ დიპლომატიურ კორპუსთან გამართა მოლაპარაკებები. ძირითადად ინფორმაციული ხასიათის შეხვედრა ორიენტირებული იყო იმაზე, თუ რა ეტაპზეა „რვიანისა" და ხელისუფლების მუშაობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ხელისუფლებასა და „რვიანს" შორის მოლაპარაკების პროცესი ჩიხშია შესული. უკვე რამდენი ხანია ოპოზიცია და ხელისუფლება ვერ ახერხებენ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომასა და მოლაპარაკების პროცესის გაგრძელებას.

„რვიანმა" ხელისუფლებას არაერთი შეთავაზება თუ წინადადება გაუგზავნა, მაგრამ ხელისუფლება ჯერჯერობით პასუხს აყოვნებს. ერთადერთი პასუხი, რომელიც ხელისუფლებისგან „რვიანმა" მიიღო, ის იყო, რომ ოპოზიცია ულტიმატუმებით საუბრობს.

ბოლოს ოპოზიცია იმაზეც თანახმა იყო, რომ ხელისუფლებასთან ინდივიდუალური მოლაპარაკებები გაემართა. ხელისუფლებას ინდივიდუალური მოლაპარაკებები, როგორც ჩანს, აწყობდა, რადგან ეს იდეა სწორედ მათგან მოდიოდა. თუმცა, როდესაც მოხდა დაკონკრეტება, თუ რას გულისხმობდა „რვიანი" ინდივიდუალურ მოლაპარაკებებში ხელისუფლებამ ამაზე თავი შეიკავა.

„ახლების" წარმომადგენლის მამუკა კაციტაძის განმარტებით, ინდივიდუალური მოლაპარაკებები არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს „რვიანის" დაშლასა და მოლაპარაკების პროცესში ცალ-ცალკე წარდგომას.

კაციტაძის განცხადებით, „რვიანს" ერთიანი პოზიცია აქვს და მისი დაშლა წარმოუდგენელია, რადგან ეს იქნება ხელოვნური დანაწევრება.

ოპოზიციურმა „რვიანმა" ხელისუფლებას მაისის ბოლომდე მისცა ვადა. რა იქნება განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, ამაზე საუბარი არ სურთ „რვიანის" წარმომადგენლებს, რადგან ისინი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მოლაპარაკების პროცესი განახლდება.

გავა თუ არა „რვიანი" ქუჩაში, ამ კითხვაზე პასუხი უკვე არსებობს. „რვიანი" ყველანაირად ეცდება, რომ სწორედ არჩევნების გზით შეცვალოს ხელისუფლება და ამ გზით მოვიდეს ქვეყნის სათავეში. თუმცა, მანამდე ჯერ კიდევ შორი გზა აქვს ოპოზიციას გასავლელი.

ოპოზიციური „რვიანის" განცხადებით, მათ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა მოიპოვეს, რასაც ადასტურებს „რვიანთან" გამართული საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებთან შეხვედრები.

„რვიანის" წევრები აცხადებენ, რომ მათ პოზიციას მხარს არა მხოლოდ ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები უჭერს მხარს, არამედ — ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაც.

ამის დასტურად „რვიანის" წარმომადგენლებს მოსახლეობასთან გამართული შეხვედრები მოაქვთ, რომლებიც რეგიონებში გაიმართა. საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე თავიანთი შეხედულებები ოპოზიციურმა „რვიანმა" არასამთავრობო სექტორს დახურულ კარს მიღმა გააცნო.

„ახალი მემარჯვენეების" წევრი კაციტაძე აცხადებს, რომ პოლიტიკოსებმაც და არასამთავრობო სექტორმაც თავის სეგმენტზე უნდა იმუშაოს, რომ შედეგი დადგეს.

**მამუკა კაციტაძე:**

— 16 მაისს 30-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა განცხადება გააკეთეს და ხელი მოაწერეს იმას, რომ ამ გზით მათ მხარი დაუჭირეს საარჩევნო გზით ხელისუფლების შეცვლის უალტერნატივობას. ბუნებრივია, როდესაც სამოქალაქო სექტორსა და პოლიტიკურ სექტორს შორის პოზიციათა თანხვედრა არსებობს, მას სჭირდება კიდევ უფრო მეტი ჩაღრმავება, კიდევ უფრო მეტი აქტიურობა იმისთვის, რომ შედეგი რეალურად დადგეს. ამ შემთხვევაში შედეგი გახლავთ საარჩევნო გარემოს შეცვლა. არასამთავრობო სექტორმა აკეთოს თავისი საქმე, თავის სეგმენტზე იმუშაოს და ბოლოს ორივეს ძალისხმევამ ეფექტური შედეგი უზრუნველყოს.

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერის განცხადებით, მოლაპარაკების პროცესში დიალოგის რესურსი არ არის ამოწურული.

ირაკლი ალასანიამ გუშინ განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია უახლოეს პერიოდში მოლაპარაკების განახლებაში. თუმცა, რა აძლევს ამ განცხადების საფუძველს, მას არ დაუკონკრეტებია.

**ირაკლი ალასანია:**

— ჩვენი ამოცანაც სწორედ ის არის, რომ საზოგადოება დავიამხანაგოთ და ამ ცვლილების თანამონაწილე გავხადოთ. დარწმუნებული ვარ, მოლაპარაკების პროცესში დიალოგის რესურსი ამოწურული არ არის. ასევე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ უახლოეს პერიოდში მოლაპარაკებები განახლდება, რადგან ეს სჭირდება ქართველ საზოგადოებას, ჩვენი ქვეყნის მომავალსა და თითოეულ მოქალაქეს, რომ გარანტირებულად ჰქონდეს თავისუფალი არჩევნის უფლება. სწორედ ამისთვის არის ეს რეფორმა ჩასატარებელი და ამისთვის ვიბრძვით ჩვენ.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის განცხადებით, „რვიანმა" უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა საერთაშორისო, ქართველი საზოგადოებრივი ჯგუფების, დიპლომატიური კორპუსის რესურსი, რომ შედეგი დადგეს და საარჩევნო კოდექსი გარემოსთან ერთად შეიცვალოს.

**გიორგი თარგამაძე, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი:**

— ჩვენთვის და ჩვენი პოლიტიკური პარტნიორებისთვის, დარწმუნებული ვარ, მთელი ქართველი საზოგადოებისთვის ამოცანა ევროპული დემოკრატიული სტანდარტებისადმი მიახლოებაა. ამიტომ ჩვენ ყველა ვცდილობთ, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფების, მით უმეტეს არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტების საერთაშორისო, დიპლომატიური კორპუსის რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენოთ საიმისოდ, რომ საარჩევნო გარემოს ცვლილება არ დარჩეს მხოლოდ ჩვენს ამოცანად, მხოლოდ ჩვენ მიერ მისაღწევ შედეგად, რათა ეს იყოს საერთო პოლიტიკური ამოცანა, მათ შორის, ხელისუფლების მონაწილეობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერ ირაკლი ალასანიას ეჭვი არ ეპარება, უფრო ზუსტად კი დარწმუნებულია, რომ ოპოზიციურ „რვიანსა" და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკების პროცესი უახლოეს მომავალში განახლდება.

განახლდება თუ არა რეალურად მაისის ბოლომდე მოლაპარაკების პროცესი და თუ არ განახლდა, როგორი იქნება „რვიანის" მოქმედების შემდეგი ეტაპი, ამას დრო გვიჩვენებს.

# რუსეთის ხელისუფლებამ ისრაელის სამხედრო ატაშე გააძევეს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ისრაელის სამხედრო ატაშეს, ვადიმ ლეიდერმანის ქვეყნიდან გაძევების ფაქტი დაადასტურა. მიზეზად ლეიდერმანის მიერ რუსეთის მოქალაქისაგან საიდუმლო ინფორმაცია დაასახელეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ატაშე 12 მაისს ფაქტზე დააკავეს, რის შემდეგაც მას 48 საათის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის დატოვება ურჩიეს და ატაშე ასეც მოიქცა.

ვადიმ ლეიდერმანი რუსეთში პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს. მისი გაძევების ინფორმაცია ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ ოთხშაბათს საღამოს გაავრცელა.

რუსეთის მოქალაქის ვინაობა, რომელმაც ლეიდერმანს საიდუმლო ინფორმაცია გადასცა, არ დაუზუსტებიათ.

ისრაელის თავდაცვის არმიის ოფიციალურ განცახადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ პოლკოვნიკ ლეიდერმანის წინააღმდეგ მოულოდნელად დაიწყეს გამოძიება და სპეცსამსახურების ოფისში დაკითხვაზე მიიყვანეს.

მოგვიანებით იგი დიპლომატიური იმუნიტეტის გამო გაათავისუფლეს.




გამოძიების შემდეგ მას 48 საათის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიის დატოვება უბრძანეს და გარდა ამისა, დაპატიმრების მუქარით რუსეთში დაბრუნება აუკრძალეს.

ისრაელის მთთვრობამ აღნიშნა, რომ ისრაელში დაბრუნების შემდეგ ლეიდერმანი საგულდაგულოდ შეამოწმეს და მის წინააღმდეგ წაყენებული ჯაშუშობის ბრალდებები არ დადასტურდა.

გაზეთ „ჯერუსალემ პოსტის" თანახმად, ნათქვამია, რომ ლეიდერმანი გასულ კვირას რუსეთის სპეცსამსახურებმა მოულოდნელად დააპატიმრეს. დაკავება და დაკითხვა მოსკოვში ისრაელის პარლამენტის დეპუტატების დელეგაციის სტუმრობას დაემთხვა. დელეგაციას ისრაელის თავდაცვის ყოფილი მინისტრი და კნესეტში უცხოეთის საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე შაულ მოფაზი ხელმძღვანელობდა.

დეპუტატები რუსეთის პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

როგორც სააგენტო „ინტერფაქსი" აღნიშნავს, ინციდენტი ისრაელის დამოუკიდებლობის დღეს და რუსეთ-ისრაელის დაპლომატიური ურთიერთობების აღდგენის დღეს დაემთხვა.

გაზეთ „ჰაარეცის" თანახმად, ისრაელის მაღალი რანგის წარმომადგენლებს, კერძოდ, სამხედრო და დაზვერვის თანამშრომლებს რუსეთში გაურკველ პირობებში და დიპლომატიური ხელშეუხებლობის დარღვევით პირველად არ აპატიმრებენ.

გ.თ.

# უცნობი პირები სახალხო კრების აქტივისტის გატაცებას ცდილობდნენ

უცნობი პირები დღეს გლდანში „სახალხო წარმომადგენლობით კრების" აქტივისტის გატაცებას ცდილობდნენ.

როგორც „მედიანიუსს" „სახალხო კრების" მმართველი ორგანოს ერთ-ერთმა წევრმა ირაკლი ბათიაშვილმა განუცხადა, მათმა აქტივისტმა გაქცევა მოახერხა.

— ხელისუფლებამ დაიწყო პირდაპირი ტერორი ჩვენი აქტივისტების მიმართ. დღეს მოხდა მორიგი ასეთი ფაქტი. მცდელობა იყო, რომ გლდანში ერთ-ერთ ჩვენი აქტივისტი ჩაესვათ მანქანაში და გაეტაცათ, მაგრამ მან თავის დაღწევა მოახერხა. ჩვენ ყველას ვაფრთხილებთ, რომ იყვნენ მაქსიმალური ყურადღებით ამ დღეების განმავლობაში, — განაცხადა ბათიაშვილმა.

ბათიაშვილის თქმით, მას იმედი არ აქვს, რომ ხელისუფლება გუშინწინ მომხდარ ინციდენტს გამოძიებს, რომლის დროსაც, ნიღბოსანმა პირებმა რამდენიმე მათ აქტივისტს ცეცხლი გაუხსნეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

— ეს იყო ხელისუფლების ნამოქმედარი. ცხადია, ეს დამნაშავეები მათი ნიღობსნები იყვნენ, არ ვიცი, ზონდერბრიგადები თუ სხვა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მათი ხალხია. ახლა ხელისუფლება ვალდებულია, რომ გამოძიება ფორმალურად მაინც დაიწყოს და იძულებულია, რომ საქმე აღძრას. რეალურად კი ისინი არაფრის გამომძიებლები არ არიან, — განაცხადა ბათიაშვილმა და დასძინა, რომ თავდასხმის შემდეგ ერთ-ერთ მათი აქტივისტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

მედიანიუსი

# „თავისუფალი საქართველოს" ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარეს ჯარიმა დაეკისრა

პარტია „თავისუფალი საქართველოს" ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გოგი წულაის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული ჯარიმის სახით 400 ლარის გადახდა დააკისრა. გოგი წულაიას ბრალი 150-ე და 173-ე მუხლის დარღვევისათვის ედება, რაც პოლიციის დაუმორჩილებლობასა და ფასადების განზრახ დაზიანებას გულისხმობს.

როგორც „მედიანიუსს" პარტიიდან აცნობეს, წულაიას დაკავებისას სამართალდამცავებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, შესაბამისად არ დაურღვევია კანონიც.

„თავისუფალი საქართველოს" ქუთაისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე წინასწარი დაკავების იზოლატორიდან უკვე გათავისუფლებულია. თუმცა, მისი განცხადებით, იგი დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს, რადგან მიიჩნევს, რომ მსგავს ადმინისტრაციულ ჯარიმებს საქართველოს ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დარღვევის მიზნით იყენებს.

ცნობისათვის: გოგი წულაია 7 მაისს რუსთავში დაკავებული მოძრაობა „არა!"-სა და „სახალხო კრების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებისათვის გამოცხადებულ სოლიდარობის აქციაზე გუშინ დააკავეს.

მედიანიუსი

# უნგრეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე უნგრეთის ეროვნული ასამბლეის სპიკერ ლასლო კოვერს შეხვდა. როგორც შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე დავით ბაქრაძემ განაცხადა, იგი ძალიან მოხარულია იმით, რომ საქართველოს პარლამენტს ჰყავს საპატიო სტუმარი. ეს მისი პირველი ვიზიტია საქართველოსა და მის პარლამენტში.

— უნგრეთი არის ქვეყნა, რომელიც ყველა ფორუმზე მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამიტომ მოხარული ვარ, რომ ამ ვიზიტით ჩვენი ურთიერთოებები კიდევ უფრო აქტიური და მეგობრული გახდება, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.



მისი თქმით, ორი ქვეყნის პარლამენტების თავმჯდომარეებმა ორმხრივი ურთიერთოების განვითარებაზე, ამ ქვეყნებს შორის არსებულ საერთო პრობლამებსა და იმაზე ისაუბრეს, თუ რაში შეიძლება იყოს უნგრეთის გამოცდილება საინტერესო და მნიშვნელოვანი საქართველოსთვის. ლაპარაკია როგორც შიდა რეფორმებზე, ისე საერთაშოროსო თანამშრომლობას და პარლამენტებს შორის ურთიერთობაზე. ისინი შეთანხმდნენ, რომ საქართველო-უნგრეთის პარლამენტებს შორის ურთიერთობა უფრო აქტიური იქნება და ეს ვიზიტი ბევრად უფრო ინტენსიური ურთიერთიბის დასაწყისი გახდება.

— ჩვენ მადლობელნი ვართ იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც უნგრეთი საქართველოს მიმართ იჩენს, მათ შორის ევროკავშირის მონიტორინგის მისიაში ხუთი მონიტორის გაგზავნით. ეს ადამიანები ოკუპაციის ხაზზე უაღრესად მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ. მადლობელი ვარ ბატონი სპიკერის, რომელმაც დღეს დაადასტურა, რომ უნგრეთის მონიტორების რაოდენობა და ამ ქვეყნის მონაწილეობა მისიაში გაიზრდება, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

როგორც ლასლო კოვერმა აღნიშნა, მისი ქვეყანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას კვლავაც აგრძელებს.

— ჩვენი საქველმოქმედო ორგანიზაციები საქართველოში მუშაობენ. ერთ-ერთი ასეთი ლტოლვილთა საკითხებით არის დაკავებული და მათ აქტიურად ეხმარება. იმედია, ჩვენი ურთიერთობები ეკონომიკურ სფეროსა და ბიზნესში უფრო აქტიური გახდება, — აღნიშნა ლასლო კოვერმა.

შეგახსენებთ, რომ ლასლო კოვერი საქართველოს 19-დან 21 მაისის ჩათვლით სტუმრობს.

მედიანიუსი

# ნინო ბურჯანაძე „ქართული პარტიის“ პოზიციას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე „ქართული პარტიის“ პოზიციას „სახალხო კრებასთან“ თანამშრომლობის შესახებ გუშინ კიდევ ერთხელ გამოეხმაურა.

როგორც ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, 21 მაისამდე დარჩა ორი დღე. მისივე თქმით, ამ დღის 15.00 საათზე „სახალხო კრება“ საქართველოს ყველა გულშემატკივარს თბილისში, თავისუფლების მოედანზე ელოდება, ხოლო ბათუმში - ერას მოედანზე.

— ნებისმიერ პარტიულს, თუ არაპარტიულს შეუძლია მობრძანდეს, დადგეს ხალხთან ერთად და იმ გეგმის მიხედვით იმოქმედოს, რომელიც შემუშავებული აქვს სახალხო კრებას და რომელიც ამ დამნაშავე ხელისუფლებას აუცილებლად გაისტუმრებს, — აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისი თქმით,“სახალხო კრება“ აუცილებლად მიაღწევს გამარჯვებას, ხელისუფლების შეცვლას და თავისუფალ არჩევნებს.

**ინტერპრესნიუსი**

# პარლამენტი მხოლოდ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხზე არ უნდა შეჩერდეს



— საქართველოს პარლამენტი მხოლოდ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხზე არ უნდა შეჩერდეს, — ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ თავმჯდომარემ გია თორთლაძემ დღეს გაერთიანებული საპარლამენტო კომიტეტების სხდომაზე განაცხადა, რომელზეც რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხზე პარლამენტის რეზოლუციის პროექტი განიხილეს.

თორთლაძის თქმით, პარლამენტმა დღეიდან უნდა დაიწყოს ასევე მუშაობა ჩეჩნებთან დაკავშირებითაც, რადგან წელიწადნახევრის წინ კონფერენციაზე ჩერქეზთა გენოციდის აღიარებასთან ერთად საქართველოს ანალოგიური თხოვნით ჩეჩნებმაც მიმართეს.

თორთლაძის თქმით, თუ საქართველოს უნდა აღიარებული იქნეს მისი ოკუპირებული რეგიონები და დეოკუპაცია დროულად დაიწყოს, მაშინ საქართველომაც თვალი არ უნდა დახუჭოს სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით და სიმართლე აღიაროს.

— მე ამაყი ვარ, რომ ამ მოწვევის პარლამენტმა ჩერქეზთა გენოციდი უნდა აღიაროს, — განაცხადა გია თორთლაძემ და იქვე დასძინა, რომ მისთვის, როგორც სპორტსმენისთვის და ასევე პოლიტიკოსისთვის, პრინციპულად მიუღებელია, რომ სოჭის ოლიმპიადა გენოციდის ადგილას ჩატარდეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ისრაელი სომხების გენოციდის საკითხს განიხილავს

ისრაელის ქნესეტში სომხების გენოციდის საკითხის განხილვა დაიწყო.

ისრაელი ამ საკითხით უკვე დიდი ხანია დაინტერესებულია. თუმცა 1915 წელს თურქი სამხედროების მიერ სომხების დახოცვის ფაქტის შეფასებისას, ოფიციალური იერუსალიმი მიიჩნევს, რომ საქმე უნდა დაკვალიფიცირდეს არა სომხების გენოციდად, არამედ მათ დარბევად.

ექსპერტების მოსაზრებით, ამგვარი პოზიციის დაჭერით, ისრაელი ცდილობს არ გაიფუჭოს მტკიცე დიპლომატიური და სამხედრო კავშირები თურქებთან.

**მედიანიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
**ბებნისის დედათა მონასტრის**
მშენებლობას
**მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605**
ღმერთმა შეგიწიროთ!
**ზარის ღირებულებაა 1 ლარი**

# ხალხმა ხელისუფლებას უნდა უთხრას „არა!“

## დეპუტატი კოპალიანი საპროტესტო აქციებს უერთდება



**დამოუკიდებელი დეპუტატი კარლო კოპალიანი 21 მაისის საპროტესტო აქციებს უერთდება. ჯერჯერობით ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო კოპალიანი ერთადერთი დეპუტატია, რომელიც საპროტესტო აქციებს უერთდება.**

**ნანა მიშელაშვილი**

კარლო კოპალიანის თქმით, 21 მაისს დაგეგმილია მშვიდობიანი, კონსტიტუციური, კანონიერი აქცია, რომლის უფლება აქვს ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს. მაჟორიტარი დეპუტატი იმედს გამოთქვამს, რომ ოპოზიციური „რვიანიდან“ ამ აქციას რომელიმე პარტია შეუერთდება.

„ახალი თაობა“ **კარლო კოპალიანს** ესაუბრა:

***— ჯერჯერობით არც ერთ დეპუტატს არ უთქვამს, რომ 21 მაისს გამართულ აქციას შეუერთდება. თქვენ რას აპირებთ?***

— მე აქციას ვუერთდები.

***— რატომ გადაწყვიტეთ, რომ აქციას შეუერთდეთ?***

— ახლა კი არა, მე სახალხო-წარმომადგენლობით კრებას გასული წლის ნოემბრიდან შევუერთდი.

***— თუმცა, ეს არ იყო მაინცდამაინც აფიშირებული...***

— ეს ჩემი ბრალი არ არის. მე განცხადება გავაკეთე ამის თაობაზე, სახალხო კრების სათათბიროს წევრი ვარ. აქედან გამომდინარე, 21 მაისს ხალხის გვერდით ვიდგები. იმ იდეებს ვიზიარებ, რომლებსაც სახალხო კრება ახმოვანებს.

***— რომელიმე პარტიის წევრი ხომ არ გახდით?***

— არა, არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ, დამოუკიდებელი ვარ.

***— ნინო ბურჯანაძის პარტიაში ხომ არ აპირებთ შესვლას?***

— არა. არც იმას დაგიმალავთ, რომ სხვადასხვა პარტიიდან არის შემოთავაზება, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთ პარტიაში არ შევდივარ.

***— 21 მაისს ხალხი აქციაზე მასობრივად გამოვა?***

— ახლა ქვეყანაში ისეთი სიტუაციაა, რომ, დარწმუნებული ვარ, ხალხი გამოვა. მიუხედავად მავანის მტკიცებისა, რომ საპროტესტო მუხტი არ არის, ეს მუხტი არის. ეს არის მშვიდობიანი, კონსტიტუციური, კანონიერი აქცია, რომლის უფლება აქვს ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს. დარწმუნებული ვარ, აქციაზე საკმაოდ ბევრი ადამიანი მოვა და ისინი მშვიდობიანად გამოხატავენ თავიანთ პროტესტს.

***— 21 მაისს დაწყებული აქციები იმ დღესვე დასრულდება თუ რამდენიმე დღე გაგრძელდება?***

— დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ხელისუფლება როგორ მოიქცევა. როდესაც საკუთარი ხალხი გეუბნება „არას“, ამ შემთხვევაში ადეკვატური უნდა იყო ხალხის სურვილის მიმართ. ჩემი აზრით, 21 მაისის აქცია 9 აპრილის აქციების მსგავსად არ გაგრძელდება. აქციები იქნება კონკრეტული, გეგმაში გაწერილი და ძალიან მალე დამთავრდება.

***— 21 მაისს დაიწყება და ამავე დღეს დასრულდება?***

— არა, რამდენიმე დღე გაგრძელდება.

***— 26 მაისამდე გაგრძელდება?***

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის რაოდენობასა და აქტივობას. თავისი მოსვლით ხალხმა ამ ხელისუფლებას უნდა უთხრას — „არა“!

***— სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ აქციას კიდევ რომელი პარტია შემოუერთდება?***

— არ ვიცი, მარჩიელობას ნამდვილად არ დავიწყებ.

***— თუმცა, თქვენ ვარაუდი გამოთქვით, რომ ოპოზიციური „რვიანიდან“ აქციას რომელიმე ლიდერი შემოუერთდება...***

— ეს ჩემი სურვილია, რომელიც გარკვეულ ლოგიკას ექვემდებარება. „რვიანში“ ბევრი ღირსეული, მოუსყიდავი, გაუსვრელი ადამიანია და ვთვლი, რომ მათი ადგილი იქ არის, სადაც ხალხია. რატომღაც მჯერა, რომ კონკრეტულ მომენტში ხალხს შემოუერთდებიან.

***— ვისზე ფიქრობთ, რომ აქციას შემოუერთდება? საპარლამენტო პარტიის წარმომადგენლები შემოუერთდებიან თუ არასაპარლამენტოსი?***

— თავისთავად ცხადია, გია თორთლაძის დემოკრატიული პარტია ამ აქციას არ შეუერთდება.

***— თორთლაძის პარტია ოპოზიციური რვიანის წევრი არც არის...***

— გასაგებია, თუმცა, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში ისინიც მონაწილეობენ. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ისეთი ძლიერი პარტიები, რომლებსაც ხალხის მხარდაჭერა აქვთ, ჩვენ გვერდით ვიხილოთ, თუნდაც ეროვნული ფორუმი და სხვები.

***— გამოდის, რომ უფრო არასაპარლამენტო პარტიების მხარდაჭერის იმედი გაქვთ...***

— დიახ.

***— თქვენ გარდა, კიდევ რომელიმე დეპუტატი ხომ არ უერთდება აქციას?***

— არავინ. ჯერჯერობით ერთადერთი დეპუტატი ვარ, რომელიც აქციებს უერთდება. იმედი მაქვს, კიდევ ვინმე შემოუერთდება.

***— 26 მაისს რუსთაველზე აღლუმი უნდა გაიმართოს. თუკი აქციები 26 მაისამდე გაგრძელდება, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?***

— მე მგონი, ხელისუფლებას ეყოფა ჭკუა, რომ თუ აქციები 26 მაისამდე გაგრძელდა, აღლუმი სხვაგან გადაიტანოს.

***— რომ არ გადაიტანს, ფაქტია, რადგან რუსთაველზე წინასააღლუმო რეპეტიცია უკვე გაიმართა. უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ აღლუმისთვის ხელის შეშლა არ შეიძლება...***

— მოვიდნენ და ეს ხალხს განუცხადონ.

***— უმრავლესობის წევრები მიტინგზე რომ არ მოვლენ, ფაქტია...***

— რატომ? შევარდნაძე ხომ მივიდა მიტინგზე და ხალხს შეხვდა. მოვიდნენ და ხალხს უთხრან, რომ აღლუმის ჩატარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ქვეყნისთვის სასიცოცხლო მომენტია. აუხსნან ხალხს, თუ აღლუმი არ ჩატარდება, ქვეყანა დაიქცევა. ეს აუხსნან ხალხს და შესაძლოა დაიშალონ. რა გვეაღლუმება, ქვეყანა თავზე გვექცევა!

# ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია სამხრეთ ოსეთის „საზღვართან“ მომხდარ ინციდენტს გმობს

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ გუშინ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

მასში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია გმობს მომხდარს, რის შედეგადაც საქართველოს ორი მოქალაქე დაიჭრა, ერთ-ერთი მდგომარეობა კი კრიტიკულია.

— მომხდარ ინციდენტში გარკვევის მიზნით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ დაუყოვნებლივ გაგზავნა დამკვირვებლები ინფორმაციის შეკრების მიზნით. მათ მოუწოდეს მხარეებს, დაუყოვნებლივი მოლაპარაკებებისა და გადაუდებელი შეხვედრებისკენ, რომელიც დღეს დვანში გაიმართა. მოლაპარაკებებში ჩართული იყო წარმომადგენლები საქართველოს მთავრობიდან, რუსეთის ფედერაციიდან და დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთიდან. ჩვენ მივესალმებით მოლაპარაკებების შედეგს, რის შედეგადაც ინციდენტის დროს გუშინ დაკავებული საქართველოს ოთხი მოქალაქე და ასევე რამდენიმე დღის წინ დაპატიმრებული ერთი პიროვნება გაათავისუფლეს, — აღნიშნულია განცხადებაში.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ფაქტის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, აგრძელებს დამატებითი ინფორმაციების მოძიება, შეკრება, დამუშავებას.

უახლოეს დღეებში ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრები კვლავ გაიმართება.

**მედიანიუსი**

# ვანში ასამდე ძირი მრავალწლიანი ნაძვის ხე მოიჭრა

მწვანეთა პარტიის ინფორმაციით, დღეს ქალაქ ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე, გამგეობის შენობის წინ ასამდე ძირი მრავალწლიანი ნაძვის ხე მოიჭრა. „მწვანეებმა“ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს და მომხდარზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოითხოვეს.

პარტიის ლიდერის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, ეს ბოლო პერიოდში მომხდარი მორიგი ვანდალური აქტია: რამდენიმე ხნის წინ, ხე ტყე მასიურად გაჩეხეს ქუთაისსა და ბათუმშიც; თუმცა, ეს ფაქტები დღემდე გამოძიებული არ არის. შესაბამისად, არც დამნაშავეები დაუსჯიათ. გიორგი გაჩეჩილაძის შეფასებით, ეს ყოველივე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება აქტიურად უწყობს ხელს ქვეყნის უნიკალური ეკოსისტემის განადგურებას.

„მწვანეთა პარტია“ კატეგორიულად მოითხოვს ხელისუფლებისგან, შეჩერდეს საქარველოს ეკოსისტემის ნგრევა, მრავალწლიანი მწვანე ნარგავების გაჩეხვა და გამოძიებულ იქნას ვანში, ქუთაისსა და ბათუმში მომხდარი ფაქტები.

**მედიანიუსი**

# ტუბერკულოზისგან განკურნებულთა რაოდენობა 500 ერთეულით შემცირდა

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ტუბერკულოზისგან განკურნებულთა რაოდენობა 500 ერთეულით შემცირდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორმა იაგო კალანდაძემ განუცხადა.

იაგო კალანდაძემ კომენტარი გააკეთა „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლების მიერ დღეს საკრებულოში გაკეთებულ განცხადებებზე, რომელიც ტუბერკულოზის შემთხვევების მატებას ეხებოდა.

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის დირექტორის თქმით, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ტუბერკულოზის შემთხვევების მატება არ შეინიშნება. პირიქით, არის მცირე კლება. აღნიშნული ცენტრი 2010 წლის დამუშავებულ მონაცემებს 15 ივნისამდე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასაც გადაუგზავნის.

იაგო კალანდაძის განცხადებით, საქართველოს ანტიტუბერკულოზური მკურნალობის პროგრამა მსოფლიოშია აღიარებული და რეზისტენტული ფორმების დიაგნოსტიკა და მკურნალობა სახელმწიფო პროგრამის თანხებით ხდება.

„თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელმა ვიქტორ დოლიძემ და პარტიის ექსპერტმა ჯანდაცვის საკითხებში მანანა ბერიძემ, დღეს ტუბერკულოზის შემთხვევების მატებასთან დაკავშირებით, საკრებულოში ბრიფინგზე სტატისტიკა წარმოადგინეს და პროგრამული თანხების არაეფექტურ ხარჯვაზე ისაუბრეს.

**ინტერპრესნიუსი**

# აზერბაიჯანიდან საქართველოს ელჩის გამოწვევას ითხოვენ

თეა მარხვაიძე

**საინგილოს პრობლემა ჩვენს საზოგადოებაში სულ უფრო აქტუალური ხდება. ამ მტკივნეულ თემასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით მხოლოდ ოპოზიცია, ადგილობრივი მოსახლეობა, სასულიერო პირები და ჟურნალისტები საუბრობენ.**



ხელისუფლება კი ამ თემაზე კომენტარის გაკეთებასაც კი არ კადრულობს. თუ რამე თქვეს, ისეთია, ჯობია საერთოდ არ მოისმინო. ამის ნათელი მაგალითი ამ კვირაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადება იყო.

ამ განცხადებამდე ქართულ პრესაში არაერთხელ დაიბეჭდა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა საინგილოში. ამასთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთეს ქართველმა ოპოზიციონერებმაც.

საინგილოში შექმნილ ვითარებას აქტიურად აშუქებს კახეთის საინფორმაციო ცენტრი. სოფელ ალიბეგლოს მოსახლეობამ აუწყა ცენტრს, რომ ალიბეგლოში აღდგომის მეორე დღეს, მამა ბასილს საფლავების კურთხევის უფლება არ მისცეს.

ამ ტერიტორიაზე უამრავი პრობლემა არსებობს. ადგილობრივი ხელისუფლება იქ მცხოვრებ ქართველებს ავიწროვებს. რაზედაც ჩვენებურები დუმან. აზერბაიჯანის განაწყენებას მოერიდა აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი თეიმურაზ შარაშენიძე, რომლის გამოწვევაც უკვე მოითხოვა რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადში მცხოვრები ჰერები, აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის თეიმურაზ შარაშენიძის გაწვევის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებენ.

როგორც ჰერებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, სამუშაო საათებში ელჩი სოფელში, მოსახლეობასთან შეხვედრაზე ნასვამი მივიდა და მათ შეურაცხყოფა მიაყენა.

ჰერების თქმით, ინციდენტი 18 აპრილს მოხდა. რესპონდენტების ვინაობას, გასაგები მიზეზების გამო, მათივე თხოვნით არ ვაქვეყნებთ.

— 1996 წლიდან ალიაბადში მცხოვრებ ქართველებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც აზერბაიჯანული გვარი გვაქვს, ბავშვებისთვის ქართული სახელების დარქმევას გვიკრძალავენ. აზერბაიჯანის საჯარო რეესტრს სახელების სია აქვს და იქიდან გვთავაზობენ აზერბაიჯანული სახელის არჩევას. სოფელში ბევრი ბავშვია, რომელიც 7-8 წლის არის და სკოლაში დღემდე არ დადიან იმიტომ, რომ საბუთები არ აქვთ წესრიგში. მშობლები და ახლობლები, აი, იმ გოგონას თამარს ეძახიან, ამ სახელით კი ბავშვს რეგისტრაციაში არ ატარებენ და შესაბამისად, არც დაბადების მოწმობა აქვს. არაერთხელ მივწერეთ საქართველოს ხელისუფლებას, ბაქოში საქართველოს საელჩოს, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს, — ამბობს ალიაბადის მკვიდრი, ახალგაზრდა მამაკაცი.

— გასულ წელს, თბილისიდან სტუმრები მყავდნენ. სახლში ვიქეიფეთ, სადღეგრძელოები შევსვით. სტუმრებს დისკი ჰქონდათ თან, რაზედაც ქართული სიმღერები იყო ჩაწერილი. ქართული სიმღერები რომ ჩავრთეთ, დაახლოებით 20 წუთში, უშიშროების განყოფილების ორი თანამშრომელი დაგვადგა და მოგვთხოვეს, რომ მუსიკა გამოგვერთო. ჩემმა სტუმრებმა ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, რის გამოც ორივე მათგანი დააკავეს და განყოფილებაში წაიყვანეს. იმავე საღამოს გამოუშვეს, მაგრამ ეს არ არის ერთი შემთხვევა. საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებები ყველანაირად დაცულია, აქ კი როგორც შეუძლიათ, გვავიწროვებენ. საქართველოს ხელისუფლებიდან არავინ ჩამოდის, რომ მხარდაჭერა ვიგრძნოთ. კახეთის გუბერნატორი ერთხელაც კი არ ყოფილა აქ, — აღნიშნავს ალიაბადის მაცხოვრებელი.

— სოფელში ქართული სკოლა და საბავშვო ბაღი აღარ გვაქვს. ჩვენ რომ გადმოვიტანოთ ქართული წიგნები საქართველოდან, ამის უფლებას აზერბაიჯანელი მებაჟეები არ გვაძლევენ. საქართველოდან როცა მოვდივართ, ჩანთებს ისე საგულდაგულოდ ჩხრეკენ, გაზეთიც კი ვერ გადმოგვაქვს. სახლში საქართველოს დროშა მქონდა. 23 ნოემბერს, გიორგობას ბავშვმა წელზე შემოიხვია და ქუჩაში გამოვიდა, ამხანაგებთან ერთად სურათი უნდა გადაეღო. მთელი პოლიცია და უშიშროება იქ გაჩნდა. დროშაც წაგვართვეს და პრობლემებიც შეგვიქმნეს. ჩვენი ახლობელი სკოლაში მუშაობს და იმას დაემუქრნენ, სამსახურიდან გაგიშვებთო, — უთხრა ალიაბადის მკვიდრმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ჰერების თქმით, ამ და სხვა პრობლემებზე სასაუბროდ, აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი თეიმურაზ შარაშენიძე ალიაბადში კიდევ ერთხელ მიიწვიეს.

— დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ელჩი ალიაბადში 18 აპრილს, ზაქათალის რაიონის გამგებელთან ერთად ჩამოვიდა. ელჩს თან თავისი მოადგილეც ახლდა. შეხვედრა 14:00 საათზე იყო დანიშნული, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს დრო იმიტომ შეირჩა, რომ სკოლის ქართველ მასწავლებლებსაც გვინდოდა შეხვედრა და სოფლის მაცხოვრებლებსაც, მაგრამ ელჩი 16:00 საათზე მოვიდა. ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და აგდებით გველაპარაკებოდა. როდესაც ელჩს შევჩივლეთ ქართული სკოლის და საბავშვო ბაღის არარსებობის და ბავშვებისთვის ქართული სახელების დარქმევასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, იცით, რა გვითხრა? — ჯერ ის გაარკვიეთ ქართველები ხართ თუ არა და ქართული სკოლა, ბაღი და სახელები მერე მოითხოვეთო. თუ ბავშვებისთვის ქართული სახელების დარქმევის უფლებას არ გაძლევენ, თქვენც აზერბაიჯანული დაარქვითო. აზერბაიჯანში კანონია ასეთი და კანონს მე ვერ შევცვლიო. ელჩი რომ ამას გვეტყვის ზაქათალის გამგებლის თანდასწრებით, აბა, ამის შემდეგ რას გვიზამენ? შეხვედრა სკოლის დირექტორის კაბინეტში შედგა და მას მხოლოდ 4 ადამიანი დაასწრეს. ჩვენ არ შეგვიშვეს. რაზე ილაპარაკეს, არ ვიცი, — ამბობს ალიაბადის მცხოვრები.

მისივე თქმით, ელჩის ვიზიტიდან მეორე დღეს, ალიაბადის სკოლიდან, რომელსაც აბრა ქართული ასოებითაც ჰქონდა, ჩამოხსნეს.

აზერბაიჯანში საქართველოს ელჩის თემურ შარაშენიძის მიმართ, საინგილოში მცხოვრები ქართველების პრეტენზიებთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ ინფორმაციას არ ფლობს.

მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ამ დრომდე არავის მიუმართავს, მათ შორის არც საინგილოში მცხოვრებ ქართველებს. რაც შეეხება ელჩის საქმიანობას, საგარეო საქმეთა სამინისტროს ელჩის საქმიანობის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ ეპარება.

— ჩვენ ელჩებს საგანგებოდ ვარჩევთ და კონკრეტულად შარაშენიძის შემთხვევაში, არავითარი ეჭვი არ მეპარება, რომ მსგავს ინციდენტს ადგილი არ ექნებოდა. იგი დაინტერესებულია, რომ ყველა მოქალაქის უფლება დაცული იყოს და უპირველეს ყოვლისა, საუბარია საინგილოში მცხოვრებ მოსახლეობაზე, — განაცხადა ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ნინო კალანდაძემ.

მისივე თქმით, ვიდრე შესაბამისი მოკვლევა არ ჩატარდება და არ გაირკვევა, რა დგას ამ ბრალდების უკან, საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ფაქტზე რეაგირებას არ მოახდენს.

ალიაბადში მცხოვრები ქართველები აპირებენ, ელჩის გაწვევის მოთხოვნის განცხადებაზე ხელი კახის რაიონის ქართული სოფლების მაცხოვრებლებსაც მოაწერინონ.

ხელისუფლებას საინგილოსთვის არ სცალია. ისინი ახლა აღლუმის სამზადისითა და აქციების გადაგორებით არიან დაკავებული. მათ საერთოდ არ ადარდებთ, რა ხდება საქართველოს ისტორიულ მიწაზე. როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლებისთვის დაკარგულ ტერიტორიად მხოლოდ რუსეთის მიერ წართმეული მიწები ითვლება.

დანარჩენ ტერიტორიაზე მყოფი ქართველები კი ჩვენი ხელისუფლებისთვის არაფერს წარმოადგენენ.

# მოვუწოდებ პოლიციას, კანონისადმი მორჩილება გამოიჩინონ

შორენა კოწოწაშვილი

**მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ხელმძღვანელი ეკა ბესელია მხარს უჭერს პარლამენტის წინ მიმდინარე ადვოკატების შიმშილობის აქციას და ხელისუფლებას სამართლიანი სასამართლოს დაბრუნების კუთხით ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს.ადვოკატების მხარდასაჭერი აქცია გუშინ ეკა ბესელიამ პარლამენტის წინ აქციის პარალელურად გააკეთა.**



— ადვოკატების ნაწილი, ხედავთ, რომ დასხდა და პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართა იმისათვის, რომ ქვეყანაში სამართლიანი სასამართლო არ არსებობს. ეს ადვოკატები იცავენ არა მხოლოდ თავიანთ უფლებებს. მოვედი, რათა მხარდაჭერა აღუთქვა იმ ადამიანებს, რომლებიც ადამიანის უფლებებს იცავენ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ შემზარავია, როდესაც ქვეყანაში ვლაპარაკობთ ადამიანის უფლებების დაცვაზე და თავად ადვოკატები არიან იმდენად დაუცველები, რომ იყენებენ პროტესტის უკიდურეს ფორმას და შიმშილობას იწყებენ. ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი იმდენად დაბალია, იმდენად შეუძლებელია პროფესიული დაცვის განხორციელება, რომ ადვოკატების ნაწილი უკვე მიმართავს პროტესტის უკიდურეს ფორმას, — განაცხადა ეკა ბესელიამ. მისი თქმით, ეს იქნება მნიშვნელოვანი სიგნალი საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციებისთვის, ევროპული სტრუქტურებისთვის, რომ ადვოკატები ამ ფორმით იწყებენ პროტესტის გამოხატვას.

რაც შეეხება თავად მოთხოვნებს, აქციის მონაწილე ადვოკატების მოთხოვნების: დაცვის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა; პატიმარი ადვოკატების, უფრო სწორად, იმ ადვოკატების გათავისუფლება, რომლებიც უკანონოდ არიან დაპატიმრებული; საქმეების გადახედვა.ბესელიას თქმით, ის მოთხოვნები, რომლითაც ადვოკატებმა დაიწყეს შიმშილობის აქცია, ნამდვილად იმსახურებს მხარდაჭერას.

— მოვუწოდებ ხელისუფლებას და განსაკუთრებით პოლიციას, რომ ეს ეს დღეები არის უკიდურესად დაძაბული და მათ უნდა გამოიჩინონ, პირველ რიგში, კანონისადმი მორჩილება და პატივისცემა. კიდევ ერთხელ კარგად წაიკითხონ, რას ნიშნავს გამოხატვის თავისუფლება; წაიკითხონ ქვეყნის კონსტიტუცია და კანონი „პოლიციის შესახებ“ და მიხვდებიან, რომ ის, რასაც ისინი აკეთებენ, ძალიან სცილდება კანონის ფარგლებს და მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

***— ქალბატონო ეკა, ფაქტია, აქცია არც ისე მრავალრიცხოვანია. როგორ ფიქრობთ, რატომ აქვთ ადვოკატებს კოლეგების მიმართ სოლიდარობის და კოლეგიალობის პრობლემა?***

— მე მიკვირს, მართალი გითხრათ. იმიტომ, რომ ვიცი, რომ დღეს ადვოკატების 80%-ისთვის შეუძლებელია დაცვის განხორციელება. ის, რომ უკიდურესად მძიმეა მათთვის სასამართლო პროცესებზე ყოფნა და ეს პროცესი ნომინალური გახდა, ამიტომ დაიწყეს მათ შიმშილობა. მე, როგორც მათ კოლეგას, მიმაჩნია, რომ სჭირდებათ მხარდაჭერა და სოლიდარობა. ამ სოლიდარობისთვის მოვედი აქ იმიტომ, რომ ორი ადვოკატიც რომ იყოს, მათაც ნამდვილად უნდა გამოუცხადო სოლიდარობა. მიკვირს ასეთი ინდიფერენტულობა, იმიტომ, რომ არა მგონია, 20-30 ადვოკატს აწუხებდეს ამ ქვეყანაში, რომ სასამართლო დამოუკიდებელი არ არის. ის, რომ ადვოკატების ერთი ნაწილი გახდა თანამონაწილე ამ რეჟიმის და იმ უკანონო გარიგებების, საპროცესო შეთანხმებების და ა.შ., ამან ერგვარად ადვოკატთა ინსტიტუტი შეარყია. ძალიან ბევრს აკეთებს ზაზა ხატიაშვილი იმისთვის, რომ შელახული პროფესიული ღირსება აღდგეს და მართლაც უდიდესია მისი როლი, რომ დღეს ადვოკატის ინსტიტუტი სიცოცხლისუნარიანი გახდა, მაგრამ მე მოვუწოდებდი ზოგადად კოლეგებს: მეტი სოლიდარობა გამოიჩინონ და მეტი მხარდაჭერა, როდესაც მათი კოლეგები სხდებიან კიბეებზე საშიმშილოდ და მინიმუმ ის მაინც უნდა მოხდეს, რომ აჩვენონ, რამდენი ადვოკატია უკმაყოფილო ამ სასამართლო სისტემის.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ადვოკატთა კორპუსის რიგებში გარკვეული წმენდა უნდა ჩატარდეს და მეტი აქცენტი გაკეთდეს პროფესიონალიზმზე და ადვოკატის ეთიკურ ნორმებზე?***

— დიდი ხანია ეს დრო დადგა და დიდი ხანია ამის საჭიროებაა. იმიტომ, რომ ადვოკატთა სისტემაშიც არის სერიოზული პრობლემები — ისინი, ვინც ემსახურებიან ამ უსამართლო რეჟიმს და ისინი, ვინც სამართლიანობისთვის იბრძვიან. როგორც ჩანს, უმცირესობაში არის ის ნაწილი, რომელიც სამართლიანობისთვის იბრძვის. ალბათ იმათი მხილებაც უნდა დაიწყოს, ვინც გახდა ამ რეჟიმის თანამონაწილე.

***— ეს ადვოკატთა ეთიკის კომისიამ უნდა გააკეთოს?***

— კი, ეთიკის კომისიამ.

***— საკითხის ინიციატორი თავად კომისია უნდა იყოს? ფაქტია, საკმაოდ დაგროვდა არა მხოლოდ ულირსი ნაბიჯები იმ ადვოკატების მხრიდან, რომლებიც საპროცესოებზე მუშაობენ, არამედ არაერთ საქმეში მათი ქმედებები თაღლითობამდე მიდის.***

— ამისთვის არსებობს ბერკეტები ეთიკის კოდექსში. ეს შეიძლება თავად ადვოკატებმა გააკეთონ; თავად ადვოკატები იყვნენ განცხადების ავტორები და თავად ადვოკატებმა იმსჯელონ მათი პროფესიის შიგნით, როდესაც ხდება მსგავსი ტიპის პრეცედენტები.

## პენიტენციურ სისტემაში ვიდეოპაემანი ამოქმედდა

დღეიდან ახალი სერვისით სარგებლობას არასრულწლოვანი მსჯავრდებულები შეძლებენ, უახლოეს მომავალში კი სიახლე სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში ეტაპობრივად დაინერგება.

ვიდეოპაემნით სარგებლობის პირთა წრე შეუზღუდავია, მისი ხანგრძლივობა 15 წუთით განისაზღვრება, სერვისით სარგებლობა კი თვეში სამჯერ არის შესაძლებელი.

არასრულწლოვანთა თხოვნით, პირველი ვიდეოპაემანი მათთვის საყვარელ ტელეწამყვანებთან შედგა.მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის განხორციელების მსურველმა პირმა შესაბამისი განცხადებით პრობაციის ბიუროს უნდა მიმართოს.

ვიდეოპაემნებისთვის განკუთვნილი ოთახები დაწესებულებებში გამოიყოფა, მსჯავრდებულთა ახლობლებისთვის კი მონიტორები პრობაციის ეროვნულ ბიუროებში განთავსდება.

ვიდეოპაემნების შესაძლებლობა მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს ექნებათ.

**მედიანიუსი**

## გალში ინციდენტების პრევენციის სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა გაიმართება

დღეს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის 27-ე შეხვედრა გაიმართება.

27-ე შეხვედრა 4 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ აფხაზური მხარის მოთხოვნით გადაიდო.

გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის 26-ე შეხვედრა მიმდინარე წლის 22 მარტს გაიმართა.

შეხვედრაზე აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთის ე. წ. მოქალაქის მერაბ ყოლბაიას „გატაცების“ ფაქტის გამოძიება და აფხაზური მხარისთვის გადაცემა მოითხოვეს, რომელიც საქართველოში მომხდარი რამდენიმე ტერაქტის ორგანიზებაშია ბრალდებული.

**მედიანიუსი**

# „თუ ხელისუფლება მოქალაქეების სიცოცხლეს შეეხება, ჩვენ სათანადოდ მოვიქცევით



**ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურა დუღილის ნიშნულს უახლოვდება. „სახალხო კრება“ 21 მაისს ხელისუფლების გადაყენების კამპანიის დაწყებას გეგმავს. „ქართულმა პარტიამ“ საქართველოს მასშტაბით საპროტესტო აქციების ჩატარება უკვე დაიწყო. „რვიანი“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ხელისუფლების საბოლოო პასუხს ელოდება, თუმცა აღიარებს მასობრივი აქციების დადებით როლს პროგრესის მიღწევაში. სახელისუფლებო ძალის შეფასებით კი, „რადიკალური ოპოზიციის მიერ გამოცხადებული რევოლუციები მათი გამოცხადებული პოლიტიკური სიკვდილის ქრონიკად გადაიქცევა“.**

გერა მამულაშვილი

„ეროვნული საბჭოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ოპოზიციური „რვიანის“ წარმომადგენელი ზვიად ძიძიგური სახალხო კრების საპროტესტო აქციებზე ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა, ქუჩაში გავიდეს.

— თუ ხელისუფლება ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლეს შეეხება, ჩვენ, რა თქმა უნდა, სათანადოდ მოვიქცევით და შესაბამის ნაბიჯებს გადავდგამთ, — განუცხადა ძიძიგურმა „ინტერპრესნიუსს“, თუმცა, არ დააკონკრეტა, რას გულისხმობდა შესაბამის ნაბიჯებში.

ძიძიგურის განცხადებით, ისინი არ ფიქრობენ, რომ სულ ერთია, რა მოხდება მათ ქვეყანაში. „ეს ჩვენთვის სულ ერთი არ არის“, — დასძინა მან.

ძიძიგურმა მოუწოდა ხელისუფლებას, კეთილი ინებოს და სამართლიანი არჩევნებისთვის გადადგას ადეკვატური ნაბიჯები, რათა ქვეყანაში სიტუაცია მაქსიმალურად არ დაიძაბოს. მისი თქმით, საქართველოში მოვლენების არასახარბიელოდ განვითარების შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა პირადად მიხეილ სააკაშვილს ეკისრება.

— ის, რომ საქართველოში რევოლუციური პროცესები ძალიან აქტიურია, ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხია. როცა ხელისუფლება უარს ამბობს სამართლიანი არჩევნებისთვის პირობების შექმნაზე, ამით არგუმენტს აძლევს რევოლუციურად განწყობილ პარტიებს, გავიდნენ ქუჩაში და დაიწყონ საპროტესტო გამოსვლები, — განუცხადა ძიძიგურმა ჟურნალისტებს.

რაც შეეხება მოვლენების შესაძლო განვითარებას 21 მაისიდან, ძიძიგური სიტუაციის დაძაბვას არ გამორიცხავს იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება დარჩენილ ორ დღეში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მზადყოფნასთან დაკავშირებით სიტყვიერ განცხადებას მაინც არ გააკეთებს.

— ხელისუფლებას შეუძლია განცხადების გაკეთება და იმის თქმა, რომ მზადაა წამოვიდეს დათმობებზე. ის კონსტიტუციას ცვლის ერთ კვირაში და საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანა რა გახდა? — განმარტა ძიძიგურმა.

— რადიკალური ოპოზიციის მიერ გამოცხადებული რევოლუციები გადაიქცევა მათი გამოცხადებული პოლიტიკური სიკვდილის ქრონიკად, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა ოპოზიციის მიერ 21 მაისს დაანონსებული აქციების შეფასებისას განაცხადა:

— მე ვხედავ ერთიან კონტექსტს როგორც ამერიკის საელჩოსთან მოწყობილ აქციაში, ასევე იმ მუქარებში, რომლებიც ალლუმის ჩაშლას შეეხება.

წიკლაურის შეფასებით, ის პოლიტიკური პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს ქვეყანაში, ქართველი საზოგადოების მხრიდან არის განაჩენის, ვერდიქტის გამოტანა ექსტრემისტული ძალების მიმართ:

— ეს გამოჩნდა ამერიკის საელჩოსთანაც შეკრების დროსაც, როდესაც ადამიანების თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობა შეიკრიბა და გამოჩნდება ამ დაანონსებული რევოლუციის დროსაც. მაისი იქნება ის თვე, როდესაც რადიკალური ოპოზიციის გამოცხადებული რევოლუციები გადაიქცევა მათი გამოცხადებული პოლიტიკური სიკვდილის ქრონიკად.

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას დასავლური მედია დიდ ყურადღებას უთმობს.

— საბჭოთა კავშირის დაშლიდან პირველი ათი და მომდევნო წლების განმავლობაშიც ქართველებმა თავი საპროტესტო აქციებისადმი კეთილგანწყობილ ადამიანებად წარმოაჩინეს, — ასე იწყებს სტატიას სათაურით „საქართველო: პროტესტისგან გადაღლილები?“ „ეურაზია.ნეტის“ ჟურნალისტი მოლი კორსო.

კორსო წერს, რომ, ადგილობრივი ექსპერტების თქმით, დღეს საპროტესტო მუხტი დაცლილია და წარსული აქტივობა აპათიით შეიცვალა.

— საჯარო აქციებისადმი ქართველების მიდრეკილებამ ვარდების რევოლუციის დროს პიკს მიაღწია. მას შემდეგ საპროტესტო აქტიურობა თანდათან მინელდა. დღეს ადამიანების მობილიზება ძველებურად იოლი არ არის. ამას ადასტურებს საზოგადოების ძალიან თავშეკავებული რეაქცია ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს 26 აპრილის გადაწყვეტილებაზე საქართველოს ხელისუფლების მიერ 2006 წელს 28 წლის ბანკის თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამოძიების საქმეზე, — წერს მოლი კორსი.

გამოცემა აღნიშნავს, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა იმ მოსაზრებას, რომ შსს-ს მიერ ჩატარებული გამოძიებით სამართალი არ აღსრულებულა და სერიოზულად გააკრიტიკა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაცია, გენერალური პროკურატურა და სასამართლოები, ამას ქუჩაში გამოსვლის მოწოდებები აღარ მოჰყოლია.

— სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებული აღშფოთების ამოფრქვევა, რომელიც 2007 წლის თბილისური საპროტესტო აქციების ცენტრალური ეპიზოდი იყო და სამართალდამცველ ორგანოებთან შეტაკებებში გადაიზარდა, საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული თვეობით დაგროვილი უკმაყოფილებისა და პოლიტიკოსების „ქედმაღლობის“ შედეგი გახლდათ, — ასე ფიქრობს „ევრაზიის თანამშრომლობის“ ფონდთან არსებული კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის დირექტორი, პოლიტოლოგი კობა თურმანიძე. მისივე თქმით, საეჭვოა, დღეს რაიმე თემამ შეძლოს მასების მობილიზება საპროტესტო აქციისთვის.

— ასეთი ერთჯერადი და ფრაგმენტული მოვლენები, როგორ ცუდ როლსაც არ უნდა ასრულებდეს მასში მთავრობა, სახალხო აღშფოთებას არ იწვევს, — ამბობს თურმანიძე გამოცემასთან საუბრისას.

მოლი კორსო შენიშნავს, რომ ბოლო ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები, რომლებიც 2009 წელს ჩატარდა, განსაკუთრებული ხმაურის გარეშე დასრულდა. ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ ამ კვირაში განაცხადა, რომ თბილისში ახალ საპროტესტო აქციებს იწყებს. საზოგადოების მხრიდან ამას ჯერჯერობით არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ საზოგადოებამ ცვლილებების მისაღწევად ქვევიდან ინიცირების სხვა მექანიზმები ვერ გამონახა, — წერს კორსო.

ამის მიზეზად საზოგადოებრივი კვლევების ცენტრის თანადამფუძნებელი და პოლიტოლოგი მარინა მუსხელიშვილი საქართველოში პოლიტიკური წონასწორობის ცვლილებას ასახელებს: 2004 წელს ხელისუფლებაში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოსვლით ინიციატივა საზოგადოების ნაცვლად ხელისუფლების ხელში გადავიდა.

— მოსახლეობას ძველებურად სჭირდება ის, რომ ვინმემ დაანახვოს ცვლილებების მიღწევის გზა, რომელსაც მხარს უჭერენ ევროპა და ამერიკა, — ამბობს იგი, — მისი რესურსები ამოწურულია. მოსახლეობას რესურსი აღარ აქვს — არც მატერიალური და არც იდეოლოგიური.

პოლიტიკური სფეროს მიღმაც ადამიანები „დათრგუნულები და ფრუსტრირებულები“ არიან და ნაკლებად არიან მიდრეკილნი სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე რეაგირებისკენ.

კობა თურმანიძის აზრით კი, არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც დარწმუნებით იტყოდა, თუ საით მიდის და რა უნდა გაკეთდეს□

— ჩემი აზრით, ქართველები პროტესტისგან არ დაღლილან, ისინი, უბრალოდ, ახლა ამაში აზრს ვერ ხედავენ, — ამბობს თურმანიძე.

მოლი კორსო წერს, რომ დღეს ადამიანები ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა ორნიშნა ციფრებში გამოხატული ინფლაციის ზრდის ტემპი, ცუდი გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების მაღალი ღირებულება და საეჭვო ტარიფები კომუნალურ მომსახურებაზე, საპასუხოდ, უბრალოდ, მხრებს იჩეჩენ. საქართველოში „ევრაზიის თანამშრომლობის“ ფონდის ხელმძღვანელ ქეთევან ვაშაკიძის აზრით კი, საზოგადოებაში ერთგვარი აქტიურობა ადგილობრივ დონეზე მაინც შეიმჩნევა. მისი თქმით, ქართველები „პრაგმატული“ ხალხია, როდესაც საქმე ცვლილების მიღწევის შესაძლებლობას ეხება.

— არ ვფიქრობ, რომ აპათიაა. ჩემი აზრით, ადამიანები საკითხებს რაციონალურად უდგებიან და ესმით ის, თუ რა იმუშავებს და რა — არა, — ამბობს ვაშაკიძე.

„ეურაზია.ნეტი“ კობა თურმანიძის მოსაზრებებს კიდევ ერთხელ უბრუნდება და წერს, რომ, განსხვავებით მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთისგან, რომლებიც სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად მასების მობილიზაციისთვის თანამედროვე სისტემებს იყენებენ, საქართველოში ამან ფართოდ ფეხი ვერ მოიკიდა.

სოციოლოგ მუსხელიშვილის აზრით, ასეთი სხვაობა გასული წლების გამოცდილებით აიხსნება.

— აზერბაიჯანსა და სომხეთში არ ყოფილა ისეთი ეტაპები, როგორიცაა „ვარდების რევოლუცია“, ამიტომ მათ კიდევ უფრო მეტი იმედი აქვთ იმისა, რომ აჯანყებით რაღაცას შეცვლიან. ჩვენ აქ ეს უკვე გამოვცადეთ, — ამბობს მუსხელიშვილი.

# ბუზეკი ახალი რეფორმების გატარებას გვირჩევს

**ევროპის პარლამენტის პრეზიდენტმა იერჟი ბუზეკმა საქართველოს ახალი რეფორმებისკენ მოუწოდა. მან 4 საკითხი დაასახელა, სადაც საქართველომ რეფორმები უნდა განახორციელოს. ესენია: სასამართლო სისტემა, კანონის უზენაესობა, მედიაპლურალიზმი და ოპოზიციასთან თანამშრომლობა.**

ნანა მიშელაშვილი

გუშინ ევროპის პარლამენტის პრეზიდენტი იერჟი ბუზეკი დავით ბაქრაძეს შეხვდა, რის შემდეგაც პარლამენტში ერთობლივი ბრიფინგი გაიმართა. ბუზეკმა საქართველოში, როგორც ევროპულ ქვეყანაში ჩამოსვლას რამდენჯერმე გაუსვა ხაზი. □ — ჩამოვედი ევროპულ ქვეყანაში, ჭეშმარიტ ევროპულ ქვეყანაში, დიდი ევროპული ტრადიციების ქვეყანაში. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია, — აღნიშნა იერჟი ბუზეკმა.

ევროპის პარლამენტის პრეზიდენტმა საერთო ღირებულებებზეც ისაუბრა.

— ჩვენ საქართველოსთან ერთად გვაქვს საერთო ღირებულებები და ეს არის საერთო ევროპული ღირებულებები. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს საერთო წარსული და მემკვიდრეობა და ასეთი ბევრი საერთოს მქონე ქვეყნებს შორის კარგი თანამშრომლობის გაგრძელება და მომავლის ერთად შენება ბუნებრივი მოვლენა იქნება, — აღნიშნა ბუზეკმა.

ევროპის პარლამენტის პრეზიდენტის შეფასებით, საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია.

ევროპის პარლამენტის პრეზიდენტმა ბუზეკმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და



ტერიტორიულ მთლიანობას.

— ჩვენ ძალიან შეშფოთებული ვართ იმის გამო, რომ საქართველოს რეგიონებში დგანან რუსული სამხედრო ძალები. ჩვენ, ევროპის პარლამენტმა, რა თქმა უნდა, უარი ვთქვით ამ ტერიტორიების სუვერენიტეტის აღიარებაზე, — აღნიშნა ბუზეკმა.

ევროპის პარლამენტის პრეზიდენტმა საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა და ახალი რეფორმების ჩატარებისკენ მოგვიწოდა. □ — მინდა მოგიწოდოთ ახალი რეფორმებისაკენ. მოდით, მივცეთ დამატებითი იმპულსი ახალი რეფორმების გატარებას. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებობდეს სწორი ურთიერთთავსებადობა, კერძოდ კი მოგიწოდებთ რეფორმებისა და ცვლილებებისკენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: სასამართლო სისტემა, კანონის უზენაესობა, მედიაპლურალიზმი და თანამშრომლობა ოპოზიციასა და კოალიციას შორის, — აღნიშნა ბუზეკმა.

ევროპარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ევროპარლამენტს არ სურს, საქართველოს რაიმე მოახვიოს თავს, არამედ სურს, ეს ინიციატივები თავად საქართველოს მოქალაქეებისა და ხელისუფლებისგან მომდინარეობდეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ევროპარლამენტის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკა სამომავლოდ ქვეყნის მშვიდობიან გამთლიანებას შეუწყობს ხელს. □ — მადლობა იმ პოზიციისთვის, რომელიც ევროპარლამენტს უკავია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ბუზეკს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მკაფიო მხარდაჭერისთვის, რომელსაც ევროპარლამენტი ატარებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლოდ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი გამთლიანებისთვის, — აღნიშნა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, ევროპარლამენტის პრეზიდენტის ვიზიტი მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიგნალია საქართველოსთვის.

— ეს არის პოლიტიკური სიგნალი, რომ გრძელდება ჩვენი თანამშრომლობა ევროპარლამენტთან და ეს თანამშრომლობა არის ინტენსიური. იმედი მაქვს, მომავალში ეს თანამშრომლობა იქნება შედეგზე კიდევ უფრო მეტად ორიენტირებული, ვიდრე დღეს არის, — აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ბუზეკთან დახურულ შეხვედრაზე საუბარი შეეხო როგორც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს, ასევე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს.

შედით საიტზე atb.ge

# სააკაშვილს თანამდებობაზე არავინ დატოვებს

გულიკო ბალა ე

საინტერესოა, ვისი იდეა იყო პარლამენტის ქუთაისში გადატანა. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილს შეჯავრდა ოპოზიციონერთა პროტესტისა და მუდმივი შეკრებების ადგილი, სადაც ხელისუფლებას, ფაქტობრივად, სახალხოდ ასამართლებენ და გადაწყვიტა თავისი მნიშვნელობა დაუკარგოს.

ვარაუდობენ, რომ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ამაზე არ შეჩერდებიან და დედაქალაქის გადატანასაც შეეცდებიან.

თბილისისთვის დედაქალაქის სტატუსის ჩამოშორება მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენი მოძმე სომხების ოცნება იყო, მაგრამ მაშინ არაფერი გამოუვიდათ.

ჩვენი დიდი მეფეების თვალთახედვით, თბილისი კავკასიის რეგიონისთვის სტრატეგიულ ადგილს, ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი დედაქალაქად გამოცხადება.

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე ფიქრობს, რომ ხელისუფლებას პარლამენტის ქუთაისში გადატანა, თავისი ანტიქართული გადაწყვეტილებების გასატანად სჭირდება.

***— ბატონო ნოდარ, ხელისუფლებამ პარლამენტის ქუთაისში გადატანა გადაწყვიტა. როგორც ჩანს, დედაქალაქის ქუთაისში გადატანაც იგეგმება. როგორ მოგწონთ ხელისუფლების ასეთი გადაწყვეტილებები?***

— ეს ხელისუფლება რომ დივერსანტია, უამისოდაც ცნობილია. სააკაშვილი რომ უნიჭო დიქტატორია, უამისოდაც ცნობილია. ეს ხელისუფლება ჭკუაზე თხლად რომ არის, ესეც ცნობილია.

***— გადატანის მოტივი რა არის?***

— ქუთაისი ნაკლები პოტენციალის ქალაქია, ვიდრე თბილისი. იქ პოლიტიკური ცხოვრება ისე აქტიური არ არის, როგორც თბილისშია. ამიტომ ქუთაისში უფრო ადვილად გაათრევენ თავის ანტიქართულ დადგენილებებს, ვიდრე თბილისში. ეს არის ერთადერთი მოტივი.

***— თბილისში მშვენივრად გააქვთ თავისი დადგენილებები.***

— ერთი გაიტანეს, მეორე ვერ გაიტანეს.

***— კონსტიტუციაც მიიღეს და უფლებამოსილებაც მთელი ექვსი თვით გაიხანგრძლივეს...***

— ნებისმიერი დიქტატორული ნაბიჯის გადადგმა თბილისში უფრო ძნელია, ვიდრე ქუთაისში. რეაგირება თბილისში უფრო ძნელია, ვიდრე ქუთაისში. ამისთვის გადააქვთ პარლამენტი თბილისში. სხვა მოტივი არ აქვთ. საერთოდ, პარლამენტის ქუთაისში გადატანა სისულელეა იმიტომ, რომ პარლამენტი — ეს არის ქვეყნის ტვინი და ქვეყნის მართვის ორგანო. პარლამენტი არ არის სუპერ-სუპერ ფიზიკის ინსტიტუტი ან სუპერ-სუპერ ბიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ცალკე მუშაობა შეუძლია. პარლამენტში მით უფრო საქმიანი გადაწყვეტილებები მიიღება, რაც უფრო კარგად გრძნობს ქვეყნის მაჯისცემას. ქვეყნის მაჯისცემა არსად ისე არ იგრძნობა, როგორც მის დედაქალაქში. ამიტომ პარლამენტის ფსიქოლოგიური განწყობა უფრო მეტი პასუხისმგებლობითაა აღჭურვილი, როცა დედაქალაქშია, ვიდრე მაშინ, როცა სადმე მივარდნილ სოფელშია.

***— პარლამენტის გადატანა შეიძლება პირველი ნაბიჯია და დედაქალაქის გადატანაზე ხმამაღალ განცხადებებს ჯერ ვერ ბედავენ. როდესაც პარლამენტი გადაგაქვს, მთავრობა გადაგყავს, საკონსტიტუციო სასამართლო უკვე გადატანილია ბათუმში, შეიძლება დედაქალაქის გადატანაც იგეგმება.***

— არა, ამას რესურსი, გაანგარიშება და ჭკუა უნდა. ამათ ეს არ აქვთ. დედაქალაქის გადატანა თუ გინდა, ისეთი დაწესებულებები უნდა გადაიტანო, რომელსაც თავისი საკუთარი ცხოვრება აქვს, რომელიც გაფართოებადია.

***— გაფართოებადი დაწესებულებები რომელია?***

— მაგალითად, ლაბორატორია, ქარხანა, უნივერსიტეტი, ინსტიტუტი (კვლევითი თუ სხვა), წარმოება.

***— იქიდან მოყოლებული, რაც თბილისი დედაქალაქად გამოცხადდა, დამეთანხმებით, აქ შეიკრიბა მთელი ქვეყნის ინტელექტუალური გონი. ქუთაისს არანაირად არ ვამცირებ, მაგრამ თბილისში ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ, მათ შორის, ქუთაისიდანაც.***



— აქ არის ორი შეცდომა და სიყალბე — პარლამენტი არავის მიიზიდავს. ვინც არჩეული იქნება პარლამენტში, ის ჩავა. დედაქალაქის გადატანას კი თავისი მიზეზი სჭირდება. რატომ უნდა გადაიტანო? მადლობა ღმერთს, ქუთაისი არის მჭიდროდ დასახლებული ადგილი. ეს არ არის ასათვისებელი ველური ბუნება. მაგალითად, ახლა ბრაზილიის დედაქალაქი რიო დე ჟანეირო აღარ არის. 30 წელზე მეტია, დედაქალაქი სხვაა. ის გადაიტანეს მდიდარი ბუნების ადგილზე, სადაც მოსახლეობა არ ცხოვრობდა. მოსახლეობის მისაზიდად დედაქალაქი გადაიტანეს. ასევე მგონი ასტანაც ასე გახდა დედაქალაქი. საქართველოში ეს სტუაცია არ არის. ასე რომ, დედაქალაქის ქუთაისში დაარსების არანაირი მოტივი არ არსებობს.

***— სომხების ოცნება იყო საქართველოს დედაქალაქის თბილისიდან დასავლეთში გადატანა. 1918 წელს იყო ამაზე მსჯელობა. რაიმე შორს მიმავალი, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული, დივერსიული გეგმა ხომ არ არის ამოქმედებული?***

— ამ ხელისუფლებისაგან ყოველთვის უნდა ელოდე მისი ნაბიჯების რაღაც ანტიქართულ, დივერსიულ საფუძველს. კი, ეს ასეა, მაგრამ ახლა თბილისში იმდენად ბევრია ქართული მოსახლეობა, თბილისი დღეს ქართული ქალაქია. თბილისის არც გასომხება, არც გათათრება, არც გაარგენტინება და არც გაჩინელება აზრად არავის მოუვა. თუმცა, გაჩინელებისა, რა მოგახსენოთ.

***— გათათრება და გასომხება არ ელოდება, მაგრამ თუკი დედაქალაქს გადაიტანენ, თანდათან თბილისი ჩვეულებრივ პროვინციულ ქალაქად არ იქცევა?***

— არა, არა. პარლამენტი გაფართოებადი დაწესებულება არ არის. თუ თბილისის დექართველიზაცია უნდა ვინმეს, მაშინ თბილისიდან გაიტანს რაღაც ისეთს, რომელიც მოსახლეობას იკრებს. პარლამენტი მოსახლეობას არ იკრებს.

***— თუკი დედაქალაქიდან გაიტან საკონსტიტუციო სასამართლოს, კონსტროლის პალატას პარლამენტსა და მთავრობას, მაშინ რაღა დედაქალაქია?***

— არც ერთი მათგანი არ არის გაფართოებადი ორგანიზაცია. ქალაქის მასშტაბებზე და ქალაქის კულტურული ცხოვრების მასშტაბებზე არ იმოქმედებს. პარლამენტს მოსახლეობასთან კონტაქტი არ აქვს. ერთადერთი, შეიძლება ის კონტაქტი ჰქონდეს, რომ შემოეხვევა ხალხი და იყვირებს, წადი, წადიო. საკონსტიტუციო სასამართლოს, მით უმეტეს, არ აქვს არანაირი კავშირი მოსახლეობასთან.

***— პარლამენტის თბილისიდან გადატანა დადებითად შეიძლება შეფასდეს?***

— პარლამენტის დედაქალაქიდან გადატანა უარყოფითია, ამცირებს პარლამენტის მუშაობის ხარისხს. ისედაც გონებასუსტი პარლამენტის მუშაობას ხარისხობრივად აქვეითებს და დიქტატურას მეტი მოქმედების საშუალებას აძლევს, გარედან მიწოლის შიშის ნაკლებად აქვთ. ეს ორი ფაქტორი მთავარია.

***— ალბათ, გახსოვთ, 1992 წელს, გადატრიალების შემდეგ, სამხედრო საბჭო ხელისუფლებაში რომ მოვიდა, მაშინ უნდოდათ ამ პარლამენტის სავაჭრო სახლად გადაქცევა. მაშინ, როგორც ჩანს, ამის გაკეთება ვერ გაბედეს...***

— სავაჭრო სახლი კი არა, ეს პარლამენტის დუქანია.

***— ბატონო ნოდარ, დღევანდელი ნაცმოძრაობის საქმიანობით, შეიძლება ეს შეფასება მისცე, მაგრამ პარლამენტის შენობა იყიდება და მყიდველები თურმე უკვე ათვალიერებენ...***

— ამ ნაძირალების ნასყიდობები გაუქმებადია ორი მიზეზის გამო — ერთი — ეს ხელისუფლება მხილებულია სახელმწიფო ღალატში, ანუ მხილებულია იმაში, რომ მართული არიან უცხო ძალების მიერ. მეორე — ესენი არალეგიტიმურები არიან. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება არსებობს ტოტალურად გაყალბებული არჩევნების შედეგად. ამიტომ მათი ყველა ნაბიჯი გაუქმებადია.

***— პარლამენტი წინა ტერიტორია არის ხალხის მუდმივი შეკრებების ადგილია. როგორც ჩანს, სააკაშვილს 2007 წლის შემდეგ სააკაშვილს ეს ადგილი შეჯავრდა და უნდა რამენაირად ამ შენობას პოლიტიკური დანიშნულება ჩამოაცილოს.***

— ეს შედის პარლამენტის გადატანის ძირითად მოტივში. მათ უნდათ, პარლამენტი რაც შეიძლება მეტად იზოლირებული იყოს პოტენციური მასისაგან.

***— სავაჭრო ცენტრის წინ ხომ არ შეიკრიბებიან ადამიანები...***

— იმ ადგილზე ადამიანები შეიკრიბებიან, მაგრამ ეს შეკრება პარლამენტის სიახლოვეს არ იქნება. სავაჭრო სახლთან ვერ იყვირებ, „წადი“, „წადის“ იმიტომ, რომ პარლამენტში ვერავინ გაიგონებს.

***— ნაცმოძრაობამ დააჩქარა საეჭვო გადაწყვეტილებების მიღება, პარლამენტის გადატანა და მსგავსი რამ. ეჭვი ჩნდება, სააკაშვილი რეზიდენციის ქუთაისში გადატანასაც ხომ არ ფიქრობს?***

— პირადად სააკაშვილს დიდი დრო არ დარჩენია.

***— შეიძლება ჩქარობს, შეიძლება უნდა ავლაბრის რეზიდენცია 1 ლარად „შეისყიდოს“.***

— ეგ შეიძლება, მაგრამ არ მაინტერესებს. მე უფრო ის ფაქტები მაინტერესებს, მიწას, ჰესებსა და ობიექტებს უცხოელებზე რომ ყიდიან, ვიდრე სანაყინესავით აშენებული სასახლე. პრეზიდენტის სასახლე ისეთი გემოვნებითაა აშენებული, სანაყინე გეგონება.

***— ჰო, მაგრამ 1 მილიარდი დოლარდი დაიხარჯა.***

— შეიძლება ნახევარი მილიარდი დაიხარჯა და არ იქნა მოპარული, მაგრამ სანაყინეს აშენებას მოხმარდა, ისეთი გემოვნებითაა აშენებული. ეს არ მაინტერესებს. მათი მოტივია, გააძლიერონ დიქტატურის ხარისხი, კიდევ უფრო გაადებილონ პარლამენტის შემადგენლობა. მწვავე დაპირისპირება, რომელიც არის სახელმწიფოში, უფრო გადაიტანება პარლამენტში, როცა პარლამენტის წევრებს თავთავიანთ სახლებში სძინავთ, ვიდრე, როცა სასტუმროში სძინავთ.

***— რატომ? თქვენ გგონიათ, რომ პარლამენტის წევრები ქუთაისში სასტუმროში დაიძინებენ?***

— აბა, სად დაიძინებენ?

***— იყიდიან, ბატონო ნოდარ. იმდენი ფული იშოვეს, ქუთაისში ბინას ვერ შეიძენენ? საცხოვრებლებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე აიშენებენ და ისევ ჩვენი ფულით მოიწყობენ კომფორტს.***

— რა თქმა უნდა. რაც პარლამენტს ეხება, ეს არის ყველაზე პატარა საშიშროება, რაც საქართველოს ემუქრება. ეგენი გეგმავენ საქართველოს ძირფესვიანად მითხრას. საუბარია იმაზე, რაც ახლა კეთდება, ამ ორ კვირაში რის გაკეთებაც უნდათ...

***— რას გულისხმობთ?***

— ვითომ რევოლუციას რომ აწყობენ.

***— უშიშროების საბჭოსა და ბოკერიას რომ გაუფართოვეს უფლებები, ამას როგორ აფასებთ?***

— ბოკერია არის სააკაშვილის ჩანაცვლების ერთ-ერთი კანდიდატი.

***— ახლა უფლებების გაფართოებით სააკაშვილის თანდათანობითი ჩანაცვლების პროცესი ხომ არ დაიწყო?***

— სცენარი ჩანს. ბურჯანაძე და ოქრუაშვილი, რომლებიც სამ დღეში ტაშის გრიალში ერთმანეთს გადაეხვევიან, თავიანთ დავალებას ასრულებენ, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქუჩაში მოხდეს გასროლა. რევოლუციის მოგება კი არა, მხოლოდ გასროლა უნდა მოხდეს. ეს არის ერთი ნაბიჯი. მეორე — სახალხო კრება, რომელიც ვითომ წარმომადგენლობითია, სინამდვილეში არავითარი წარმომადგენლობითი არ არის, პატიჟებს რუსებს, მობრძანდით და გაგვაშველეთო.

***— ბატონო ნოდარ, ბურჯანაძე ხომ იმ სამეულის წევრია, რომლებიც 2003 წელს რევოლუციის ლიდერები იყვნენ. სააკაშვილს უნდა აწყობდეს თუ ბურჯანაძე ხელისუფლებაში მოვა, რადგან მისი პასუხისმგებლობის საკითხს არ დასვამს, არ დააპატიმრებს, როგორც სააკაშვილმა არ დააპატიმრა შევარდნაძე.***

— უფრო მეტია, ვიდრე სააკაშვილი. კრება პატიჟებს რუსებს, მოდით, გაგვაშველეთო, როგორც შულავერის კომიტეტმა დაპატიჟა თავის დროზე.

***— მთლად ასე როგორ იქნება, ბატონო ნოდარ, როგორც თქვენ ამბობთ?***

— გეტყვით და დაინახავთ, რომ ასე იქნება... რუსეთი ვერაფერს გააკეთებს, მაგრამ იწყებს ფაფხურს. ჯერ ერთი, ძალიან აგრესიულ განცხადებებს გააკეთებს, სადღაც გვიფეთქებს, სადღაც სოფელს დაბომბავს, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მზადაა შემოვარდეს და მთელი საქართველო გადაწვას. ამ დროს მესამე ნაბიჯი იდგმება — გამოდის სააკაშვილი და ამბობს, ძმებო, დებო, მეგობრებო, ხომ ხედავთ, ჩიხში ვართ, დავეთანხმოთ კონფედერაციას. მთელი ეს მოქმედება ამისთვისაა დაგეგმილი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სოსო ცინცაძე გამოდის და სულ ამ ერთ ფირფიტას ატრიალებს — რუსეთი საქართველოსთან ომს აპირებს. ეს იმისთვის კეთდება, სააკაშვილს ასეით გადაწყვეტილებისთვის რაც შეიძლება მომგებიანი ფონი შეუქმნან. კონფედერაცია არის რუსეთის დამკვიდრება კავკასიონის სამხრეთით და საქართველოს დედის ტირება ისტორიული მასშტაბით. ამის გაკეთება უნდათ, მაგრამ, მე მგონი, ვერ იზამენ, რადგან ამ კომბინაციას ჩაუჭრიან.

***— ვინ ჩაუჭრის?***

— მსოფლიო. ხომ ხედავთ, ახლა რუსეთი ნაბიჯს წინ ვერ დგამს და ვერასოდეს ველარ გადადგამს. ახლა რუსეთი იკუმშება და იკუმშება. მისი გავლენის სფეროები იკუმშება.

***— გავლენის სფეროები იკუმშება, მაგრამ ტერიტორიები რომ გაადიდა?***

— ეს არის მისი უკანასკნელი მცდელობა ლუკმის გადაყლაპვისა, რომელზეც ნათქვამია, ვერ გადაყლაპავ. ვერც გადაყლაპავს.

***— სააკაშვილმა გადააყლაპინა... ახლა კი დაკავებულია პარლამენტისა და მთავრობის გადატანა-გადმოტანით.***

— სააკაშვილი დროებითია და ერთ ორ წელიწადში აღარ იქნება. ნაციონალები ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებენ. სააკაშვილს დავალებული აქვს ესა თუ ის ღონისძიებები ჩაატაროს საქართველოს წინააღმდეგ.

***— არა მგონია, სააკაშვილი წასვლაზე ფიქრობდეს.***

— არ აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილი რას ფიქრობს. მთავარია, რას ფიქრობს მსოფლიო. მსოფლიო არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ სააკაშვილი დარჩეს რაიმე თანამდებობაზე ისე, როგორც პუტინი დარჩა.

***— გამოსავალი იქნება, სააკაშვილის მაგივრად, მისი მეწყვილე რევოლუციონერი ბურჯანაძე თუ დარჩება?***

— გამოსავალი არ იქნება, გაუარესება იქნება. მე მგონი, არც ბურჯანაძეს და არც ოქრუაშვილს არ აქვთ დავალება, რევოლუცია მოახდინონ. მათ რევოლუცია მხოლოდ უნდა დაიწყონ. ქუჩაში თოფი უნდა გაისროლონ, დანარჩენი უკვე მაგათ გარეშე უნდა მოხდეს, ანუ — რუსეთის ფაფხური და სააკაშვილისთვის მომგებიანი ფონის შექმნა. ეს არის დაგეგმილი ოპერაცია.

***— ერთ ან მეორე ორგანიზაციას სად აქვს იარაღი?***

— ამას 500 თოფის გასროლა არ უნდა. ამ საქმეს სჭირდება 20 თოფის გასროლა.

***— არა მგონია, ბატონო ნოდარ, თოფის სროლაზე გადავიდნენ.***

— თოფებიც არის და მსროლელებიც. 1992 წლის იანვარ-თებერვალში მიტინგები რომ დახვრიტეს, ის ხალხი აორთქლდა, დაიხოცა თუ სად არის.

***— რაც ხელისუფლებამ 2007-ში გააკეთა, იგივეს გააკეთებს ახლაც.***

— ე.ი. თუ საკმარისი ფული გადაუხადეს, ის ხალხი არის, ვინც მომიტინგეებს ჩაცხრილავს. მათი დიდი ნაწილი სააკაშვილის სამსახურშია, მაგრამ ზოგი რუსების სამსახურშია — სააკაშვილის სამსახურის გარეთ. მაგალითად, „შეფიცულები“ რომ შეიქმნა, მშვენიერი სახელია (ჩოლოყაშვილის გუნდის სახელია). „შეფიცულების“ სათავეში არის ბურჯანაძე — ღმერთმა უშველოს, მსახიობია და კარგი კაცია, მაგრამ ის სამხედრო არ არის. თუმცა, მისი მოადგილე (ალბათ, „შეფიცულების“ რეალური ხლმძღვანელიც ის არის), გრუ-ს ოფიცერია. ეს ყველამ იცის.

***— თქვენ რა იცით, რომ გრუ-ს ოფიცერია?***

— ეს ყველამ იცის, ცნობილია.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. გერმანიაში განთავსებული ევროპაში უდიდესი თბოელექტროსადგური; 3. შტატი აშშ-ის სამხრეთში; 4. შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებული საქმე; 5. ცნობილი პოლონელი კინორეჟისორი; 6. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 8. მგლის, ძაღლის გაბმული ხმიანობა; 11. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის ძირითადი შემადგენელი ნაწილი; 14. ქალაქი ისრაელში; 15. ნოდარ დუმბაძის რომანი; 16. მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულითა და პატივისცემით; 17. ფრანგული საიუველირო ფირმა; 19. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 21. ტროპიკული ხილი; 22. დედალი ღორი.

**თარაზულად:** 1. მოძღვრება მელვინეობის შესახებ; 5. მჟავე, მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 7. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 9. საზოგადოების განვითარების დონე; 10. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 12. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 13. მსუბუქი, რბილი ლითონი; 16. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 17. უბანი ძველ თბილისში; 18. აშშ-ის პრეზიდენტი; 20. თემის, გვარის წინამძღოლი შუა აზიაში; 22. სუსტი ქარი; 23. ხეივნიანი, ფართო ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება ლათინურ ამერიკაში; 24. მონასტერი ადიგენის რაიონში; 25. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. როსინი; 2. პირსი; 3. ელიავა; 4. ბრეხტი; 6. სპრაიტი; 9. საარი; 11. ბიშკეკი; 15. ანტრაციტი; 16. დაბალი; 17. მუჰამედი; 19. იაშვილი; 21. ბობსლეი; 22. შერიფი.

**თარაზულად:** 5. ფოლკნერი; 7. პორტალი; 8. რეჟიმი; 10. ვაქცინა; 12. ტესტი; 13. რკინა; 14. ბერნადოტი; 18. ტოკაი; 20. ფატუმი; 23. ლეგატი; 24. ბეკი; 25. დილომი; 26. ფეტა; 27. ნებიერი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. არაბიკა; 3. ბეისბოლი; 4. იმიგრაცია; 5. კომლი; 6. ესკიმო; 8. ჩაროზი; 11. ჰელიუმი; 14. იმპერატივი; 15. ვესტერნი; 16. ობლიგაცია; 17. კიუსიუ; 19. კარტეჩი; 21. კოლიო; 22. ფლორა.

**თარაზულად:** 1. შატბერდი; 5. კაფე; 7. ლაჩარი; 9. კაპიტოლიუმი; 10. კოჰორტა; 12. ამილაზა; 13. ლიცლიცი; 16. ოსმალეთი; 17. კანა; 18. აკინი; 20. კარაბინი; 22. ფერმი; 23. სტაფილო; 24. ციროზი; 25. იგავი.

# დევიდ ბლატი იმედიანად არის

მოგეხსენებათ, რუსეთი ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ჯგუფშია და მათი სადღეისო მდგომარეობა ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს.

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დევიდ ბლატი ადგილობრივ პრესას ესაუბრა.

— რუსეთის ნაკრების კანდიდატების თამაშს ვიდეოთი და ინტერნეტით ვუყურებ, ზოგიერთ მათგანს ტელეფონით ვესაუბრები. ჩვენ კარგი ურთიერთობები გვიყალიბდება ნაკრების ახალ მენეჯერ ოლეგ უშაკოვთან. ევროლიგის ოთხთა ფინალის მსვლელობისას რამდენჯერმე შევხვდი და საუბარი საკმაოდ პროდუქტიული და საქმიანი იყო. ვფიქრობ, უშაკოვთან საკმაოდ კარგ სამუშაო ტანდემს შევქმნით. 2011 წლის ნაკრები ადრინდელზე მრავალმხრივი იქნება, რადგან ჩვენ დაგვიბრუნდა ანდრეი კირილენკო. იგი ნაკრებისთვის დიდი კოზირია. კირილენკო ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. ჯეი არ ჰოლდენთან დაკავშირებით ყველაფერი ძველებურადაა. ყოველი სეზონის ბოლოს ნაკრებში ვიწვევთ, ის კი მოფიქრებისთვის დროს ითხოვს. ძალიან მადარდებს ის ფაქტი, რომ რუსეთის ნაკრების რამდენიმე კანდიდატს საკუთარ კლუბში თამაში თითქმის არ უწევს, მაგალითად, სერგეი ბიკოვს, რომელიც გასულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი იყო. ვეცდები, გავარკვიო, თუ რაშია მისი პრობლემა. ამ ეტაპზე ამ საკითხთან დაკავშირებით მოსკოვის ცსკა-ს სამწვრთნელო შტაბში უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ. წინა ხაზში საკმაოდ კარგად გვაქვს საქმე. როცა კარგ ფორმაში არიან, ტიმოფეი მოზგოვი და საშა კაუნი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ტანდემის ქმნიან. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვამბობდი, რომ მოზგოვი და კაუნი რუსული კალათბურთის ლიდერები გახდებოდნენ. ვიქტორ ხრიაპასთან დაკავშირებით დიდი კითხვის ნიშანია. თუკი მოუნდება და შეძლებს, მისთვის ნაკრების კარი ღიაა. მისი პრობლემა მხოლოდ ტრავმას უკავშირდება. ოპერაცია გადაიტანა მოზგოვმა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ის ევროპის ჩემპიონატს მზადყოფნაში შეხვდება. ცუდი სეზონი არ ჩაუტარებიათ პონკრაშოვსა და ფრიძონს, გარკვეულწილად, სერგეი მონიასაც. ხვოსტოვიც მომეწონა, თუმცა, მან ტრავმა მიიღო და სეზონი ნაადრევად დაასრულა. ხვოსტოვი უკვე მწყობრშია და საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტა, სანაკრებო შეკრებაზე პირველივე დღიდან, ანუ ივნისის ბოლოდან გამოცხადდეს. ეს, ძირითადად, ახალგაზრდა მოთამაშეებისა და ნაკრების ახალი კანდიდატების გაფართოებული შეკრება იქნება და მოსკოვში, ცსკა-ს კომპლექსში ჩატარდება. გენერალური შეკრება სტარტს ჩვიდმეტ ივლისს აიღებს, — აცხადებს ბლატი.

# ანდრე ვილაშ-ბოაშის ახალი რეკორდი

**პორტუ-ბრაგა 1:0**

**1:0 ფალკაო (44)**

**პორტუ:** ჰელტონი, საპანარუ, როლანდო, ოტამენდი, ალვარო პერეირა, ფერნანდო, გუარინი (ბელუსკი 73), მოუტინიო, ჰალკი, ფალკაო, ვარელა (ხამეს როდრიგესი 79)

**ბრაგა:** არტური, მიგელ გარსია, პაულაო, ალბერტო როდრიგესი (კაკა 46), სილვიო, კუსტოდიო, ვანდინიო, უგო ვიანა (მოსორო 46), ალანი, ლიმა (მეიონ ზე 66), პაულო სეზარი

ევროპის თასის ფინალი ისე ჩატარდა, როგორც მოსალოდნელი იყო. პორტუგალიის ჩემპიონი უპირატესობას ფლობდა, „ბრაგა" კი, როგორც შინაურ ჩემპიონატში, აქაც თავის შანსს კონტრშეტევებზე ელოდა.

თუმცა, პირველი ხიფათი დასაწყისშივე „პორტუს" კართან შეიქმნა, როდესაც მათი მცველები შეცდნენ და კუსტოდიო ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ ახლო კუთხეში დარტყმული ბურთი მცირედით არაზუსტი გამოდგა.

ამის შემდეგ თამაში „ბრაგას" ნახევარზე გაგრძელდა, მაგრამ „პორტუს" ფეხბურთელები მეტოქის კართან განსაკუთრებულ ხიფათს ვერაფერს ქმნიდნენ.

თითქოს ტაიმი უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მანამდე დაცვაში კარგად მოთამაშე „ბრაგამ" შეცდომა დაუშვა. 44-ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე ბრწყინვალედ მოთამაშე გუარინმა თამაშგარეს ზღვარზე მოთამაშე ფალკაოს იდეალური სიზუსტის პასი მისცა და გათამაშების საუკეთესო ბომბარდირმა თავური დარტყმით სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ ფალკაომ მე-17 გოლი გაიტანა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია ამ ტურნირისთვის.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო და პირველი ხიფათი „ბრაგამ" შექმნა 46-ე წუთზე. შეცვლაზე შესულმა მოსორომ მეტოქეს ბურთი მისსავე საჯარიმოს სიახლოვეს მოჰპარა და მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ჰელტონს ვეღარ აჯობა. ეს იყო ყველაზე რეალური მომენტი ამ მატჩში. დარჩენილი დროში ჯერ უპირატესობა ხელთ ისევ „პორტუმ" იგდო, შემდეგ მეტოქე ოდნავ გამოფხიზლდა, მაგრამ ვერაფერი ღირებულის შექმნა ვერ მოახერხა.

„ბრაგას" ძლევით ანდრე ვილაშ-ბოაში გახდა ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი, რომელმაც უეფა-ს ეგიდით ჩატარებული ტურნირი მოიგო. სპეციალისტი, რომელსაც ხშირად ჟოზე მოურინიოს ადარებენ, ევროპის ლიგის გამარჯვებული 33 წლისა და 213 დღის გახდა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**ფინალი**

პორტუ-ბრაგა ........ 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბორდო-პსჟ ........ 1:0

ლილი-სოშო ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 36 | 20 | 12 | 4 | 63:32 | 72 |
| 2.მარსელი | 36 | 18 | 12 | 6 | 58:35 | 66 |
| 3.ლიონი | 36 | 16 | 12 | 8 | 59:40 | 60 |
| 4.პსჟ | 36 | 15 | 13 | 8 | 53:38 | 58 |
| 5.რენი | 36 | 15 | 11 | 10 | 36:30 | 56 |
| 6.სოშო | 36 | 15 | 7 | 14 | 55:41 | 52 |
| 7.ლორიანი | 36 | 12 | 13 | 11 | 45:44 | 49 |
| 8.ბორდო | 36 | 11 | 15 | 10 | 41:40 | 48 |
| 9.სტ.ეტიენი | 36 | 12 | 12 | 12 | 44:44 | 48 |
| 10.მონპელიე | 36 | 12 | 11 | 13 | 32:40 | 47 |
| 11.ოსერი | 36 | 9 | 19 | 8 | 43:39 | 46 |
| 12.ვალანსიენი | 36 | 9 | 17 | 10 | 41:38 | 44 |
| 13.ტულუზა | 36 | 12 | 8 | 16 | 34:36 | 44 |
| 14.კაენი | 36 | 11 | 11 | 14 | 44:49 | 44 |
| 15.ბრესტი | 36 | 10 | 13 | 13 | 35:41 | 43 |
| 16.ნიცა | 36 | 10 | 13 | 13 | 30:46 | 43 |
| 17.ნანსი | 36 | 11 | 9 | 16 | 37:48 | 42 |
| 18.მონაკო | 36 | 8 | 17 | 11 | 35:38 | 41 |
| 19.ლანსი | 36 | 7 | 14 | 15 | 35:53 | 35 |
| 20.არლე | 36 | 2 | 11 | 23 | 19:67 | 17 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

**პლეი-ოფი**

პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი(ვ) .... 3:0

პაოკი-აეკი ........ 2:1

**დანია. სასლიგა**

ნორდსიელანდი-რანდერსი ........ 2:1

**შვედეთი. თასი**

კარლსტადი-ჰალმშტადი ........ 1:4

**ბრაზილია. თასი**

**ნახევარფინალები**

ვასკო-ავაი ........ 1:1

სეარა-კურიტიბა ........ 0:0

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი-ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

ჩიკაგო-მაიამი ........ 75:85

სერიის ანგარიში ........ 1:1

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი. კვალიფიკაცია.**

**ქალები**

კარატანჩევა-კრაიჩეკი ........ 2:6;6:1;6:4

მინელა-ლინეტე ........ 7:6;6:4

პლიშკოვა-დიაჩენკო ........ 1:6;2:6

ბარტელი-ზიგემუნდი ........ 6:3;6:1

ლისიცკი-სავჩუკი ........ 6:3;6:4

ფერგიუსონი-ბოგდანი ........ 1:6;3:6

ვოზნიაკი-ვერლე ........ 6:2;6:3

**კაცები**

კუბოტი-სილვა ........ 6:4;6:1

ბეკი-ბოლი ........ 7:6;6:4

პროდონი-ველოტი ........ 6:4;6:2

ბოლელი-დონსკოი ........ 6:3;7:5

ვეიჩი-ბაგნისი ........ 6:3;2:6;6:2

მაიერი-კაბალი ........ 6:1;6:2

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**ნახევარფინალი 4 მოგებამდე**

ვანკუვერი-სან ხოსე ........ 7:3

სერიის ანგარიში ........ 2:0

მომზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# რეგლამენტის შეცვლის იდეამ ჯერ ვერავინ გაახარა

ტურის დაწყების წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ახალი რეგლამენტი წარადგინა, რომლის მიხედვით მომავალი ჩემპიონატის ფორმატი საგრძნობლად იცვლებოდა და ამის შესახებ გუშინდელ ნომერშიც ვწერდით. თუმცა, ფორმატს მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ და ჯერ კიდევ საკითხავია, როგორი იქნება მომავალი ჩემპიონატის რეგლამენტი.



**ვიტ ჯორჯია — დინამო 0:2**

**თბილისი. სპორტკომპლექსი შატილი**

**0:1 ლექვთაძე (42), 0:2 ტატანაშვილი (83)**

**ვიტ ჯორჯია:** ა.მიქაბერიძე, ხურცილავა, ადამაძე, გოგიაშვილი, ღანიაშვილი, ვასაძე, კასრაძე (ზაქრაძე 37), ჯანელიძე, გიორგი გურეშიძე (გაბრიჭიძე 81), კორიფაძე (ჯულელი 83), ჩიმაკაძე

**დინამო:** ლორია, ციმაკურიძე, თომაშვილი, კაკუბავა, ხმალაძე, ფირცხალავა (ედნილსონი 66), კვეკვესკირი, თექთურმანიძე, რობერტინიო (ჯუსი 51), ლექვთაძე, ფანცხავა (ტატანაშვილი 81)

სატურნირო ცხრილის მიხედვით, მატჩს მცირე ინტრიგა ჰქონდა და საბოლოო შედეგმა დეტალები დააზუსტა. „დინამომ" მოგებით მეორე ადგილი გაიფორმა, ხოლო ვეტერინარებმა წაგებით — მეხუთე. პრინციპში, ასეც უნდა მომხდარიყო და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ შეხვედრა უფერული გამოვიდა.

„დინამოს" ძირითადში რამდენიმე ისეთმა ფეხბურთელმა ითამაშა, ბოლო დროს იშვიათად ან საერთოდ რომ არ ჩანდნენ მინდორზე — გიორგი ციმაკურიძე მარჯვენა მცველად ირჯებოდა, ირაკლი ლექვთაძე — მარცხენა გარემარბად. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე მათგანი საუკეთესო იყო მოედანზე. განსაკუთრებით ეს ლექვთაძეზე ითქმის.

და მაინც, პირველი ხიფათი ვიტელებისა იყო, ბესიკ ჩიმაკაძე მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ დარტყმა დროულად ვერ გადაწყვიტა და სტუმართა მცველებმა მომენტი განმუხტეს. ამას მოჰყვა რობერტინიოს ორი გაცუდებული მომენტი — ბრაზილიელმა ჯერ საშუალო დისტანციიდან ააცილა, მერე კი გამოვარდნილ ბურთს თითქმის პენალტის ნიშნულიდან ურტყამდა, არდალიონ მიქაბერიძეს კარი დაკარგული ჰქონდა, მაგრამ ბრაზილიელმა კარს გადააცილა ბურთი.

მთლიანობაში „დინამო" უკეთ გამოიყურებოდა, თუმცა, არც ვეტერინარები იყვნენ მოწმის როლში. უკვე აღვნიშნეთ, რომ ლექვთაძე ყველაზე აქტიური იყო და ტაიმის მიწურულს გოლიც გაიტანა — 42-ე წუთზე დინამოელი 2 მცველს გასცდა და, სანამ ვიტელთა ფეხბურთელი დაუფარებდა, საჯარიმოში შეჭრილმა მოასწრო დარტყმა — 0:1.

სურათი არც შესვენების შემდეგ შეცვლილა. ერთია, ტემპმა კიდევ უფრო იკლო, რაც „დინამოს" უფრო აძლევდა ხელს, რადგან მასპინძლები აგებდნენ და გააქტიურება მართებდათ, მაგრამ ვერ შეძლეს. გიორგი ლორიას კართან ნახევრად მომენტი მხოლოდ ერთხელ შეიქმნა, როცა ბექა ზაქრაძემ კონტრშეტევისას ააცილა.

„დინამო" შედარებით მწვავედ თამაშობდა. ჯერ დონალდ ჯუსიმ ვერ შეძლო შეტევის სწორად გაგრძელება, შემდეგ კი ციმაკურიძის შორიდან ძლიერად დარტყმული მიქაბერიძემ კუთხურზე გადააგდო, ხოლო ბოლოს ისევ ჯუსიმ მრავალსვლიან კომბინაციას ოდნავ უზუსტო დარტყმა მიაყოლა.

თუმცა, კამერუნელმა თავისი მაინც თქვა — 83-ე წუთზე ციმაკურიძემ ჯუსის მარჯვენა ფლანგზე გააყოლა ბურთი, აფრიკელმა უცებ ჩამოიშორა გურამ ადამაძე და შეცვლაზე ორი წუთის შესული ტატანაშვილი მოძებნა, რომელმაც ფეხით ერთ შეხებით დაარტყა და საბოლოო წერტილი დასვა — 0:2.

**სიონი — ზესტაფონი 1:0**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი**

**1:0 ჯიქია (39)**

**სიონი:** ბობღიაშვილი, ნ.კვასხვაძე, სვანიძე, დიდავა, ორბელაძე, ლ.ჩხეტიანი, ნოზაძე, გოგობერიშვილი, ჩირიკაშვილი (გ.ოქროპირიძე 88), გ. გ. რეხვიაშვილი (ქუცურუა 64), რ.ჯიქია (ისიანი 79)

**ზესტაფონი:** მამალაძე, ბენაშვილი, კობახიძე, ხიდეშელი (გ.ონიანი 46), გ.ფოფხაძე (ს.ლომია 61), ძარია, გორგიაშვილი, აფციაური (გრიგალაშვილი 57), ბაბუნაშვილი, დვალი, წინამძღვრიშვილი

„ზესტაფონმა" გაჩემპიონების შემდეგ პირველივე მატჩი წააგო. ერთადერთი გოლი, რომელიც „თამაზ სტეფანიაზე" გავიდა, ზესტაფონელთა მეკარის შეცდომას მოჰყვა. 39-ე წუთზე მამალაძის ბოლნისელმა მეკარემ მეტოქის ნახევრისაკენ დაარტყა, მცველთა შუაში ბურთს რეზო ჯიქია შეჰყვა, თითქოს საფრთხეც არსაიდან იყო, მაგრამ მამალაძემ უდროო დროს დატოვა კარი, რითაც ჯიქიას ბურთის ცარიელ კარში შეტანის საშუალება მისცა — 1:0.

**სამტრედია — ოლიმპი 0:4**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი**

**0:1 ტყემალაძე (6), 0:2 მოდებაძე (11), 0:3 ტყემალაძე (22), 0:4 ბოლქვაძე (74)**

**სამტრედია:** ჯინჭარაძე, ხუმარაშვილი, თ.შალიკაშვილი, ზ.ენდელაძე (შენგელია 58), ხაჭაპურიძე, ნინუა (ხვადაგიანი 46), ჩხიკვაძე, ცხადაია, დვალიშვილი, გ.მიქაბერიძე, ლომაშვილი (კერძევაძე 75)

**ოლიმპი:** ბათიაშვილი, ჭელიძე (ბახტაძე 80), გ. ბ. რეხვიაშვილი, ი.მაისურაძე, მურველაშვილი, ჯაფარიძე (კანდელაკი 75), აბურჯანია (ქოჩლაძე 56), დობროვოლსკი, დ.ბოლქვაძე, ტყემალაძე, მოდებაძე

სტუმრებმა მატჩის დასაწყისშივე შეძლეს უპირატესობის ანგარიშში ასახვა. თავი სეზონის პირველ ნახევარში „სამტრედიაში" მოთამაშე ვაკო ტყემალაძემ გამოიჩინა. მან ამჟამინდელი გუნდი მე-6 წუთზე დააწინაურა. ამას ირაკლი მოდებაძემ ხუთიოდე წუთში მოაყოლა კიდევ ერთი გოლი. როცა 22-ე წუთზე ტყემალაძემ დუბლი მიითვალა, მატჩის ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო. გუნდებისგან მოედანზე გატარებული დარჩენილი დრო ფორმალობადღა იქცა. თუმცა, გამოცდილმა დავით ბოლქვაძემ თავისი გოლი მაინც გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ „სამტრედიას" პირველი ლიგის საგზური გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ ახალი ფორმატის შემოღების შემდეგ კიდევ ერთი შანსი ეძლევა პირველ ლიგაში გასულ მესამეადგილოსანთან პლეი-ოფის ერთმატჩიან ჯახში, თუმცა ახალ ფორმატს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს და „სამტრედია" ისევ პირველი ლიგისკენ მიიწევს.

**კოლხეთი — ბაია 2:1**

**ფოთი. ფაზისის სტადიონი**

**0:1 ლომია (76), 1:1 სიჭინავა (84), 2:1 სამადაშვილი (90)**

**კოლხეთი:** ლ.ძაგანია, ცხვიტარია, ინწკირველი, მახვილაძე, მეგრელიშვილი, გოგონაია (წიქარიშვილი 79), გვალია, პ.დათუნაიშვილი, ჯანაშია (სიჭინავა 61), კვერენჩხილაძე (სამადაშვილი 20), მდივნიშვილი

**ბაია:** სომხიშვილი, თ.აკობია, ნიკა შონია, სიხარულია, ჩანგელია (კუკავა 62), რიგვავა, ეხვაია, ა.ენდელაძე (სამუშია 46), შ.ლომია (ზ.ქვარცხავა 78), წურწუმია, გ.ქვარცხავა

ფოთელებმა ახალი რეგლამენტის შესახებ უკვე იცოდნენ და ამიტომ უმაღლესში დასარჩენად მოგება აუცილებლად სჭირდებოდათ და ეს მოახერხეს კიდეც. ერთია, შესაძლოა, პლეი-ოფი მაინც ვერ აიცილონ თავიდან.

მართალია, 76-ე წუთზე შოთა ლომიამ სტუმრები დააწინაურა, მაგრამ „კოლხეთი" შეტევებზე გადავიდა და სასურველ შედეგს მიაღწია. ჯერ მატჩში შეცვლაზე შესულმა დათა სიჭინავამ ზუგდიდელების საჯარიმოსთან ახლოდან დაჰკრა ბურთს, ხოლო მსაჯის მიერ კონსპირებულ მე-4 წუთზე კიდევ ერთმა შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა გურამ სამადაშვილმა გაუმართლა, რომელმაც მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა, მისი დარტყმული ბურთი ჯერ ძელს მოხვდა და კარის ხაზი ისე გადაკვეთა — 2:1.

**ტორპედო — სპარტაკი 1:0**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი**

**1:0 ჩიკვილაძე (65)**

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, ს.თოდუა, ფარულავა, ჩიკვილაძე, თარხნიშვილი, ბაკურაძე (გუგუჩია 46), რ.გოცირიძე (გიგაური 86), ქებაძე, საბანაძე (კემუხტაშვილი 46), დილმელაშვილი

**სპარტაკი:** ნ.დაუშვილი, ბოიომო, მგელაძე, მანჩხავა, ჭაფოძე, შონია, მამუჩიშვილი, კილასონია (ბუზალაძე 55), დეკანოიძე (ზერეკიძე 80), ჯაკობია (ვ.ბოლქვაძე 61), მეტრეველი

ქუთაისელებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს და მეტოქე თავიანთთვის ტრადიციული ანგარიშით დაამარცხეს.

მატჩის ერთადერთი გოლი 65-ე წუთზე გავიდა — ლუკა გუგუჩიას წაქცევისათვის დანიშნული ჯარიმა გოლად თენგიზ ჩიკვილაძემ აქცია. მან ოსტატური დარტყმით ბურთი „სპარტაკის" ცხრიანში" გაახვია — 1:0.

„ტორპედომ" ამ მოგებით სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილი დაიბევა, „სპარტაკს" კი ახალმა რეგლამენტმა, რომ იტყვიან, სულზე მოუსწრო, მაგრამ...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 35 | 23 | 6 | 6 | 68:19 | 75 |
| 2.დინამო | 35 | 21 | 9 | 5 | 54:20 | 72 |
| 3.ოლიმპი | 35 | 19 | 6 | 10 | 50:30 | 63 |
| 4.ტორპედო | 35 | 13 | 13 | 9 | 29:21 | 52 |
| 5.ვიტ ჯორჯია | 35 | 14 | 6 | 15 | 35:37 | 48 |
| 6.ბაია | 35 | 12 | 5 | 18 | 32:50 | 41 |
| 7.სიონი | 35 | 10 | 9 | 16 | 26:43 | 39 |
| 8.კოლხეთი | 35 | 10 | 9 | 16 | 25:47 | 39 |
| 9.სპარტაკი | 35 | 7 | 10 | 18 | 32:42 | 31 |
| 10.სამტრედია | 35 | 6 | 7 | 22 | 26:68 | 25 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 17 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) — 15, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 13□13, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 12.

შედით საიტზე atb.ge

# კრის ბოტი და სტინგი ბათუმში ჩამოვლენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პრესტიჟული ჯილდოს მოპოვება შეძლო. 1985 წლიდან დღემდე სტინგს ათი ალბომი აქვს გამოცემული. მისი მუსიკა მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. ამჟამად მუსიკოსი ლონდონთან ახლოს ქალაქგარეთ მეუღლესთან, ორ შვილთან და საყვარელ ძაღლთან ერთად ცხოვრობს.

საქართველოში არსებულმა ტუროპერატორებმა სპეციალური ტურპაკეტების რეალიზებაც დაიწყეს, რომელშიც, სასტუმროს ნომრის გარდა, კრის ბოტის კონცერტის ბილეთიც შედის. როგორც კონცერტის ორგანიზატორები ვარაუდობენ, ალბათ დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებში ბილეთის შეძენა პრობლემატური იქნება, რადგან ტურისტულმა კომპანიებმა ბილეთების შეძენაზე განაცხადი წინასწარ გააკეთეს. ამ ტურპაკეტის ფასი 370 ევროდან იწყება.

3 ივლისს პიაცას მოედანზე დაგეგმილი კონცერტისთვის კრის ბოტისთან ერთად ბათუმს ეწვევიან შემსრულებლები — ლიზა ფიშერი (ვოკალი), ბილი ჩაილდსი (ფორტეპიანო), ანდრეი ერზინი (კლავიში), მარკ ვაითფილდი (გიტარა), კარლოს პუერტო (ბასი), ბილი კილსონი (დასარტყამი ინსტრუმენტები), კაროლაინ კემპბელი (ვიოლინო). შემსრულებლების გარდა, ბათუმში მოწვეული არიან მუსიკოსები — დომინიკ შილერი (გიტარა), ჯო ლავრი (ვოკალი) და აბდელ რანი კრიჯა (პერკუსია).

ბათუმში სტუმრობამდე სტინგი კონცერტს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში 7 ივნისს გამართავს. „ელიტური“ საქართველოს მოქალაქეებს აძლევს შანსს, ამ კონცერტს 370 ევროდ დაესწრონ. რუმინეთში სტინგის კონცერტი 50-145 დოლარი ღირს, ხოლო მოსკოვში — 45-1000 დოლარი.

კულტურის სამინისტროში ჟურნალისტებთან შეხვედრა კონცერტის ორგანიზატორ კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ წარმომადგენლებმა მიგა გიორგაძემ და კახა კანდელაკმა გამართეს და ბათუმში დაგეგმილი მასშტაბური კონცერტის დეტალების შესახებ ისაუბრეს. შეხვედრას კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუაც ესწრებოდა.

**მიშა გიორგაძე, „ისთერნ პრომოუშენის“ დირექტორი:**

— კრის ბოტის კონცერტზე სტინგი საპატიო სტუმრის სტატუსით იქნება წარმოდგენილი. მათთან ერთად სცენაზე იდგება ევგენი მიქელაძის სახელობის საშემსრულებლო ხელოვნების ეროვნული ცენტრის სიმფონიური ორკესტრი ნიკა მემანიშვილის ხემძღვანელობით.

— ***თუ მიეცემათ არხებს ამ კონცერტის გადაღების უფლება?***

— კრის ბოტის კონცერტის გადაღების საშუალება მიეცემა ოთხი არხის გადამღებ ჯგუფს და ისიც მხოლოდ პირველი 3 წუთის განმავლობაში. კონცერტს დაესწრება ერთი ფოტოგრაფი, რომელიც ვალდებულია, ფოტომასალა გაავრცელოს ყველა საინფორმაციო საშუალებისთვის.

— ***ცნობილი მომღერლების ჩაწერას თუ მოახერხებენ ჟურნალისტები?***

— სავარაუდოდ, ინტერვიუსთვის გამოყოფილი დრო კრის ბოტისთან იქნება 15 წუთი, ხოლო სტინგთან — 5-7 წუთი. ოთხივე გადამღები ჯგუფი და ერთი ფოტოგრაფი ინტერვიუზე დაიშვება მხოლოდდამხოლოდ რეპეტიციის დასრულების შემდეგ.

— ***რამდენ კომპოზიციას შეასრულებს სტინგი?***



— ის ამ კონცერტის სპეციალური სტუმარია, სადაც ლეგენდარული ბრიტანელი მუსიკოსი 5 კომპოზიციას შეასრულებს. კრის ბოტი ბათუმში შვიდკაციან ბენდთან ერთად ჩამოდის, ხოლო სტინგი მაყურებლის წინაშე სამი მუსიკოსით წარდგება, რომელთა შორის ცნობილი გიტარისტი დომენიკ მილერიცაა.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

— ქართველი მაყურებლის წინაშე სტინგი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარდგება, რომელსაც ნიკა მემანიშვილი უდირიჟორებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ვითარდება, მეტი საშუალება ჩნდება, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავები ჩვენი მსმენელისთვის ჩამოვიყვანოთ. მეორე მხრივ, მათ უკვე აინტერესებთ ქართული აუდიტორიის გაცნობა, რომელსაც აქამდე რიგი მიზეზების გამო არ იცნობდნენ. ეს ისტორიას ბარდება. ეს ყველასთვის და პირველ რიგში ქართველი მსმენელისთვის, ზოგადად კი ჩვენი კულტურისთვის ძალიან კარგია. კრის ბოტის კონცერტს ბათუმში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ ორგანიზებითა და აჭარის მთავრობის მხარდაჭერით გამართავს. ჩვენთვის დიდი პატივია ასეთი მაღალი დონის ვარსკვლავების მასპინძლობა. მსგავს პროექტებს კულტურის სამინისტრო ყოველთვის აქტიურად დაუჭერს მხარს.

**კახა კანდელაკი, „ისთერნ პრომოუშენის“ მარკეტინგის მენეჯერი:**

— ქართველმა საზოგადოებამ უკვე კარგად იცის, რომ ჩვენ მოლაპარაკებებს სტინგთან შვიდი წლის განმავლობაში ვაწარმოებდით. საბოლოოდ კი მივაღწიეთ შეთანხმებას და სტინგი კრის ბოტის კონცერტის საპატიო სტუმარი იქნება.

— ***ექნება თუ არა ქართველ საზოგადოებას ამ კონცერტის ნახვის საშუალება?***

— ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად კონცერტის ტრანსლაციის უფლება — 1 საათისა და 20 წუთის განმავლობაში ექნება ერთ სატელევიზიო არხს.

— ***კიდევ რა მოთხოვნები აქვს მეორე მხარეს?***

— კონცერტის მსვლელობისას უნდა გაითიშოს სატელიტი და ინტერნეტ-კომუნიკაცია, რათა არ მოხდეს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა და სიგნალის გასვლა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

— ***რა ეღირება კონცერტზე დასასწრები ბილეთები?***

— კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 380 ლარია. ჩვენ ასევე გავყიდით ფეხზე დასადგომ ბილეთებსაც, რომელიც 90 ლარი ეღირება. ჩვენ ამ კონცერტთან დაკავშირებით ვაკეთებთ ორ შემოსასვლელს, რომ 380-ლარიანი და 90-ლარიანი ბილეთების მფლობელები სხვადასხვა შემოსასვლელიდან შემოვიდნენ და მათი არევა ერთმანეთში არ მოხდეს. ვინც დასაჯდომ ბილეთს იყიდის, ისინი შემოვლენ სხვა შემოსასვლელით და დასხდებიან, ყველაფერი ბილეთზე იქნება დაწერილი და არც კონტროლიორებს შეეშლებათ რამე, კონცერტი-



დან შემოსული თანხა კი გადაირიცხება ეროვნულ სკრინინგ ცენტრში.

— ***როდის და სად გაიყიდება კონცერტის ბილეთები?***

— ამ კონცერტის ბილეთები გაიყიდება თბილისის საკონცერტო დარბაზის სალაროებში 25 მაისიდან.

— ***გამოითქვა მოსაზრება, რომ კონცერტი უფასო იქნებოდა. რატომ ვერ მოხერდა ეს?***

— ვიცით, რომ ქართველი მელომანების ნაწილი ამ კონცერტის დიდ მოლოდინში იყო და მათ ეგონათ, კონცერტი უფასოდ ჩატარდებოდა. ჩვენ კონცერტზე დასასწრებად ბილეთებს ვყიდით. ამ ყველაფრის სათავე კი ქართველთა უდისციპლინობაა. სამწუხაროა, მაგრამ უფასო კონცერტების დროს ხშირია წესრიგის დარღვევის ფაქტები. მნიშვნელოვანია, რომ როდესაც მსგავსი მაღალი რანგის კონცერტი ტარდება, დაცული იყოს ყველა ნორმა. ჩვენი მთავარი სურვილია, კონცერტი კარგად ჩატარდეს, რამაც განაპირობა მისი ღირებულებაც.

— ***რამდენი ბილეთის გაყიდვას გეგმავთ?***

— ბათუმში პიაცას მოედანზე 2 ათასი ადამიანი ეტევა. სწორედ ამდენი ბილეთის რეალიზება გვაქვს გადაწყვეტილი, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ფეხზე დასადგომი ადგილებიც. გვჯერა, რომ ინტერესი დიდია ამ კონცერტის მიმართ და 3 ივლისს ყველას ბათუმში გელოდებით.

# „იავნანა“ ისრაელში გალაკონცერტს გამართავს

ეკა ირემაშვილი

**22 მაისს ათენის საკონცერტო დარბაზში „მეღარო“ (მუსიკის სასახლე) საქველმოქმედო გალა-კონცერტი გაიმართება, რომლის ორგანიზატორებიც პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“, ფონდი „ივერიისა“ და სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემა „ინტელექსპრესი“ არიან. პროექტის მხარდამჭერია საქართველოს საელჩო საბერძნეთში.**

საქველმოქმედო გალა-კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში აღიარებული ქართველი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე, ბერძენი სოპრანო ელენა კელესიდი და ცნობილი ბერძენი მომღერალი არიო ფრანგულისი, აღიარებული პიანისტი ელისო ბოლქვაძე, ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკა მემანიშვილი, საბერძნეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი თამთა გოდუაძე, ქართული ნაციონალური ბალეტი — ლეგენდარული „სუხიშვილები“, ცნობილი ბერძენი რეჟისორი სპიროს ევანგელატუსი, ცნობილი მწერალი იოვანა კალპაქსი, რომელიც ქართველმა ხალხმა რევაზ ლაღიძის „თბილისოს“ შესრულებით გაიცნო და შეიყვარა.

ფონდ „იავნანას“ მიერ ორგანიზებულ გრანდიოზულ საქველმოქმედო გალაკონცერტს თბილისიდან შეუერთდებიან ქართველი მომღერლები ნანი ბრეგვაძე, თამარ გვერდწითელი, ნინო ქათამაძე, ნატო მეტონიძე, სოფო ნიჟარაძე, ეკა მამალაძე, ნუკრი კაპანაძე, ანსამბლი „შვიდკაცა“.

როგორც ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა თეონა ჯორბენაძემ გვითხრა, შემოსული თანხა მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სავანის მშენებლობას მოხმარდება.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაჟეჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● ვაკეთებ ეპილაციას ლაზერის აპარატით. მიღება ჩაწერით. მისამართი: ჩიტაიას 19 (ყოფილი საბჭოს ქუჩა). ტელ: 96-67-03; 895-35-64-13 ექიმი გულიკო ჩიკვილაძე.

● გახდომა-გასუქება სწრაფად და ეფექტურად 5-დან 20 კგ-მდე თვეში, შიმშილისა და ვარჯიშის გარეშე, ჯანმრთელობისთვის უვნებლად მხოლოდ მცენარეული საშუალებებით, ინდივიდუალურად შედგენილი უახლესი პროგრამებით, სტაბილური წონის შენარჩუნებით. შედეგი გარანტირებულია 100%-ით, უკუჩვენების გარეშე. მის: დიდუბე, სამთოქიმია, I სართული, ოთახი №6. ტელ: 893-44-58-65; 34-02-38 ექიმი ქ-ნი დეა.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.



# იუმორი

პატარა ანა მალაზიაში მივიდა და გამყიდველს ეუბნება:

— გუშინ, ხურდას რომ მაძლევდით, 10 ლარი შეგეშალათ.

— მაშინვე უნდა გეთქვა, — რბილად პასუხობს გამყიდველი, რომელსაც არ სურს ბავშვი კატეგორიული ტონით შეაშინოს, — ახლა უკვე გვიანია რაიმეს გამორკვევა.

— კარგი, — პასუხობს ანა, — თუ ასეა, დავიტოვებ...

***

მეზობელი ბინიდან ვიოლინოს წრიპინმა ცოლ-ქმარი მოთმინებიდან გამოიყვანა. რა არ სცადეს, ხვეწნა, მუქარა, მევიოლინე მაინც თავისას არ იშლიდა. ბოლოს ქმარი კიდევ ერთხელ გავიდა მეზობელთან და მალე ვიოლინოს ხმა შეწყდა.

— როგორ დაითანხმე? — ეკითხება უკანდაბრუნებულ ქმარს ცოლი.

— ვერ დავითანხმე და ვიოლინო აივნიდან გადავუგდე. იმედია, მეცხრე სართულიდან ნამსხვრევებად იქცა.

— მე კი მეგონა, მეზობელი ვიოლინოს ხელიდან არ უშვებს-მეთქი.

— არც გაუშვია...

***

— დაასახელე ცხოველი, რომელსაც ოთხი ფეხი აქვს.

— მაისის ხოჭო.

— ჯერ ერთი, ხოჭო მწერია, მეორეც — ექვსი ფეხი აქვს.

— მერე რა, ორის მოგლეჯა ხომ შეიძლება...

გ. თ.

## გახასიათებთ თუ არა თვითკონტროლი?



ტესტი

**ტესტის შეკითხვებს დადებითი ან უარყოფითი პასუხები გაეცით**

1. თქვენი გარემოცვა საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანად გიცნობთ.
2. თუ გაირკვა, რომ რაიმე ისე არ დაიწყეთ, როგორც საჭირო იყო, საქმეს წყვეტთ.
3. თქვენი გეგმები არასდროს სცილდება თქვენი შესაძლებლობების ფარგლებს.
4. სამუშაოს დასრულების შემდეგ აუცილებლად ამოწმებთ, კარგად არის თუ არა იგი შესრულებული.
5. აუცილებლად უბრუნდებით დაწყებულ საქმეს, მაშინაც კი, თუ არავინ გაკონტროლებთ.
6. როდესაც რაიმე სამუშაოს ასრულებთ, გიჭირთ სხვა საქმეზე გადართვა.
7. თქვენ თანაბარი გულმოდგინებით ასრულებთ როგორც საინტერესო, ასევე არასაინტერესო სამუშაოს.
8. ნებისმიერი სამუშაოს შესრულების დროს თქვენ აფასებთ არა მარტო საბოლოო შედეგს, არამედ იმ შედეგებსაც, რომლებიც მუშაობის პროცესში მიიღეთ.
9. სამუშაოს დაწყების წინ მიჩვეული ხართ გააანალიზოთ ის პირობები, რომლებშიც სამუშაოს შესრულება მოგიწევთ.

### პასუხები

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-3 ქულა:** თქვენ განეკუთვნებით „დამოკიდებულთა“ ჯგუფს, ანუ მათ, ვისაც არ ახასიათებს ისეთი თვისებები, როგორიცაა განვითარებული თვითკონტროლი, საკუთარი ძალების რწმენა, ნებისმიერი სამუშაოს შესრულების უნარი.

**4-6 ქულა:** თქვენ განეკუთვნებით „შუალედურ“ კატეგორიას, რომლებსაც შექმნილი პირობების მიხედვით შეუძლიათ თავიანთი საქმიანობის რეგულირება, აუცილებლობის შემთხვევაში ინიციატივის გამოჩენა.

**7-9 ქულა:** თქვენ განეკუთვნებით „ავტონომიურთა“ ჯგუფს, ანუ მათ, რომლებიც ამჟღავნებთ ისეთ თვისებებს, როგორიცაა განვითარებული თვითკონტროლი, საკუთარი ძალების რწმენა.

გ. თ.

# „კომედი შოუ“ ნიუ იორკში მიდის

*ეკა ირემაშვილი*



22 მაისს ნიუ იორკში ქართული ეკლესია იხსნება, რომელიც ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს სახელობისაა. ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად მილენიუმის თეატრში კონცერტს გამართავენ „კომედი შოუს“ წევრები, ჯგუფი „შინი“ და ზურაბ მანაგაძე.

„კომედი შოუს“ წარმომადგენელმა **ალეკო მალხაზიშვილმა** გვითხრა:

— ნიუ იორკში წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის გახსნასთან დაკავშირებით მილენიუმის თეატრში ტარდება საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას. ნიუ იორკში მიწვეულია „კომედი შოუ“, სადაც ჩვენს პროგრამას წარვადგენთ.

— *ამისთვის სპეციალური პროგრამა შექმენით?*

— რა თქმა უნდა. ჩვენ გვაქვს ერთსაათიანი პროგრამა, რომელიც საგანგებოდ ამ დღისთვის არის გაკეთებული.

— *მილენიუმის თეატრში მანამდეც ყოფილხართ?*

— ამ შემადგენლობით, როგორც „კომედი შოუ“, მილენიუმის თეატრში არ ვყოფილვართ, მაგრამ როდესაც „კავეენშჩიკები“ ვიყავით, მაშინ ვართ ნამყოფები. ბრენდი „კომედი შოუ“ ნიუ იორკში პირველად ჩადის.

— *ვინ დაესწრება კონცერტს?*

— როგორც წესი, საქართველოდან ჩასული ხელოვანების კონცერტს უმეტესწილად იქ მცხოვრები ქართველები ესწრებიან ხოლმე. ალბათ, ასე იქნება ჩვენს შემთხვევაშიც.

— *რა ღირს ამ კონცერტზე დასასწრები ბილეთი?*

— სიმართლე რომ გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, ბილეთებს რა ფასად ყიდიან.

— *ნიუ იორკში ყველანი მიდიხართ?*

— არა, ვანოს შოუ და ვანო ჯავახიშვილი რჩება.

— *რატომ, ვანო არ არის „კომედი შოუს“ გუნდში?*

— „კომედი შოუს“ გუნდში კი არის, მაგრამ მისი გადაცემის წინასწარ ჩაწერა შეუძლებელია. „ვანოს შოუ“ ყოველდღიურ ხუმრობებზეა აწყობილი, ამიტომ მისი თბილისში დატოვება მოგვიწევს. რაც შეეხება ჩვენს სხვა პროდუქტებს, მათი წინასწარი ჩაწერა შესაძლებელია, ამიტომ გამგზავრებაში ხელი არ შეგვეშლება.

— *როდის დაბრუნდებით საქართველოში?*

— ჩვენ 29 მაისს უკვე საქართველოში ვიქნებით.

# აზერბაიჯანის მთავრობა ევროპარლამენტის კრიტიკით უკმაყოფილოა

აზერბაიჯანის მთავრობა ევროპარლამენტის მისამართით, რომელმაც აზერბაიჯანი ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო გააკრიტიკა, საპროტესტო წერილს ამზადებს.

ევროპარლამენტმა 12 მაისს მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აზერბაიჯანი ჟურნალისტების და პოლიტიკური ოპონენტების დაშინებისა და დევნის გამო არის გაკრიტიკებული.

ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით ოფიციალურმა ბაქომ აღშფოთება გამოხატა და სპეციალური საპარლამენტო კომისია შექმნა, რომელმაც ოფიციალური პროტესტი უნდა გამოთქვას.

პროტესტის ტექსტს ევროპარლამენტის თავმჯდომარეს, ეჟი ბუზეკს გადასცემენ, ამ უკანასკნელის ბაქოში ვიზიტის დროს, რაც პარასკევისათვის არის დაგეგმილი.

მიმდინარე წლის აპრილსა და მარტში ბაქოში ანტისამთავრობო გამოსვლების 200-მდე მონაწილე დააკავეს. ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელი ციხეში აღმოჩნდა.

გარდა ამისა, ხელისუფლები რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას დახურვით დაემუქრნენ.

ევროპარლამენტი გარდა ამისა, გაზეთ „რეალური ზერბაიჯანის“ რედაქტორის, ეინული ფატულაევის გათავისუფლებას მოითხოვს, რომელსაც 2007 წლის 20 აპრილს ცილისწამების ბრალდებებით პატიმრობა მიუსაჯეს.

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტი უნდა გაათავისუფლონ, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, იგი კვლავაც დაპატიმრებულია.

კრიტიკის პასუხად აზერბაიჯანის მთავრობამ განაცხადა, რომ ქვეყანაში დემონსტრაციები ნებადართულია, მაგრამ მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში და რომ დაკავებულმა პირებმა ქვეყნის კანონები დაარღვიეს, ზოგიერთ მათგანს კი ნარკოტიკი აღმოუჩინეს. მმართველი პარტიის, ენი აზერბაიჯანის წარმომადგენლების თქმით, ადამიანის უფლებათა დარღვევის განცხადებები რეალობას არ შეესაბამება, ხოლო ევროპარლამენტის დეპუტატებმა აღნიშნული საკითხი არაობიექტურად განიხილეს.

# ამერიკელ დედას შვილი ბოტოქსის ინიექციის გამო ჩამოართვეს



აშშ-ის ხელისუფლებმა სახელმწიფო მეურვეობაში აიყვანეს 8 წლის გოგონა, რომელსაც დედამ ნაოჭების გასასწორებლად ბოტოქსის ინიექცია გაუკეთა.

სან ფრანცისკოს მკვიდრმა კერი კემპბელმა აღიარა, რომ თავის შვილს, ბრიტნის ნაოჭების გასასწორებლად ბოტოქსი სილამაზის კონკურსში უკეთესი შედეგის მიღწევის მიზნით გაუკეთა.

„შვილებს ბოტოქსს ბევრი დედა უკეთებს, მე ერთადერთი არ ვარ“, — განაცხადა მან.

თავად 8 წლის გოგონამ ტელეარხ ეიბისის ინტერვიუში განაცხადა, რომ ბოტოქსის ინიექცია მტკივნეული იყო, მაგრამ ამასთან დაუმატა, რომ მისი აზრით, პატარა ბავშვებს ნაოჭები არ უხდებათ. ჟურნალისტებს მან ასევე განუცხადა, რომ ამ პროცედურეს შემდეგ გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა. ამჟამად საქმეს სან ფრანცისკოს სოციალური დაცვის დეპარტამენტი იძიებს. დეპარტამენტის წარმომადგენლების თქმით, დედისათვის ბავშვის ჩამორთმევა უკიდურესი ზომაა. დეპარტამენტის წარმომადგენლის, ტრენტ როერის თქმით, როგორც ექიმებმა დაასკვნეს, ბოტოქსის ინიექციის შედეგად ბავშვის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეიძლება დაემუქროს.

ამერიკული კანონები ბავშვებისათვის ბოტოქსის გაკეთებას არ კრძალავენ, რადგან ამ პრეპარატს ზოგიერთი ნევროლოგიური დარღვევის დროს იყენებენ.

კემპბელების შემთხვევაში პრეპარატის გამოყენების სამედიცინო საფუძველი არ არსებობდა.

კერი კემპბელის თქმით, მისმა ქალიშვილმა ნაოჭების გამო დაიჩივლა.

— ხელების დასაბანად რომ წავიდა, სარკეში ჩაიხედა და წამოიძახა, „დედა, ნაოჭები მაქვს“. სილამაზის კონკურსი რთული სამყაროა, ბავშვები კი ძალიან ულმობელები არიან, — განაცხადა მან, — რომ იღიმება, სახეზე ხაზები უჩნდება და ბოტოქსის რამდენიმე ინიექციის შემდეგ ეს ხაზები გასწორდა.

კერი კემპბელი კოსმეტოლოგია, ამიტომ შვილს ინიექცია დამოუკიდებლად გაუკეთა. ამასთან, უარი თქვა გაემხილა ის, თუ სად იშოვა ბოტოქსი: „საიმედო წყარო მაქვს“ — თქვა მან.

# ყავა მამაკაცებისათვის სასარგებლოა

აშშ-ის ონკოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერებმა მიიჩნიეს, რომ ყავის მიღება მამაკაცებში პროსტატის კიბოს საფრთხის შემცირებას იწვევს.

გამოკვლევაში მონაწილეობა 48 ათასამდე მოხალისემ მიიღო, რომლებიც ძირითადად მედიცინის სფეროში მუშაობდნენ. პრობლემის ყოველმხრივმა შესწავლამა აჩვენა, რომ იმ მამაკაცებში, რომლებიც დღეში ექვს ან მეტ ფინჯან ყავას სვამს, პროსტატის კიბოს განვითარების რისკი 20%-ით უფრო უფრო ნაკლებია. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი ეს დაავადება მათ მაინც არ უვლის გვერდს, ყავის მოხმარება 60%-ით ამცირებს კიბოს აგრესიული ფორმის განვითარების რისკს, რომელიც სხვა ორგანოებზეც გადადის. თავიანთი დასკვნები ამერიკელმა მეცნიერებმა ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ჟურნალში გამოაქვეყნეს.

თუმცა, ანალოგიურ პრობლემებზე მომუშავე სხვა სპეციალისტები აცხადებენ, რომ გამოქვეყნებული მონაცემები საკმაოდ ბუნდოვანია. ისინი მამაკაცებს ურჩევენ, ავთვისებიანი სიმსივნის თავიდან აცილების მიზნით ყავა ბოროტად არ გამოიყენონ. ექსპერიმენტის დროს მოხალისეებს 1986-2006 წლების პერიოდში ყოველდღიურად მიღებული ყავის ოდენობის შესახებ თავისებური ანგარიში უნდა წარედგინათ. 20-წლიანი პერიოდის განმავლობაში გამოკვლევის 5036 მონაწილეს პროსტატეს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, მათგან 642 გარდაიცვალა.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ორგანიზმზე ჩვეულებრივი ყავისა და უკოფეინო ყავის ზემოქმედება აბსოლუტურად იგივეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებაზე კოფეინი ზეგავლენას არ ახდენს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ყავა შეიცავს რაღაც სხვა კომპონენტებს, რომლებიც სიმსივნის წინააღმდეგ ეფექტურად მოქმედებენ, მაგრამ ჯერჯერობით ამ ნივთიერებების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

კოტე ჩოლოყაშვილი, ლევან ჭაჭიაშვილი, ვახტანგ ხუციძე, ილიკო თაყაიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიყრმის მეგობარი, პროფესორი

**ბაადურ რაჭველიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უფალმა ნათელში ამყოფოს სული მისი!

---

მალხაზ კვანჭილაშვილის ოჯახი სამძიმარს უცხადებს დიტო პატარაიას მამის

**ავთანდილ პატარაიას**

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს ცნობილ ქართველ ჟურნალისტს, ბატონ თენგიზ პაჭკორიას დედის

**ნანული სარდიონის ასულ ქაჯაია-პაჭკორიას**

გარდაცვალების გამო.

---

ონის რაიონის სოფელ მრავალძალის მკვიდრნი სხირტლაძეები და იობაშვილები დიდი მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი

**ზურაბ კერვალიშვილი**

და თანავუგრძნობთ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**პარასკევი 20 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. **"ზიანი"** (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფ. **"საღამო მშვიდობისა ქალბატონებო და ბატონებო"** **03.00** მოამბე **03.20** ქართული დოკუმენტალისტიკა

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფილმი **"ცხოველი"** **01.00** მხ. ფილმი **"სიჩუმე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობელი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მორჩენება"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** გადაცემა **"105** წუთი" (პირდ.) **23.00** მზის კინოკლუბი **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვმარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.00** **შეგირდი** **00.30** მუსიკალური ლიგა (გან.) **01.45** მხ. ფ. **"მაგნუმის ძალა"** (18) (კ. ისტვუდი) (სუბტ.) **04.00** ფლეიბოი იმედზე **04.30** მხ. ფ. **"ტალადეგას ღამეები"** (გ. კოული) (სუბტ.) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"ცნობილი ოჯახები"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სკოლის მეგობრები"** **19.00** მუსიკა **21.00** სერ. **"მონტალბანო"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ.ფილმი "წინანდალი" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ზოგი ჭირი მარგებელია"** **13.35** კონცერტი – "ჩვენ ვუკრავთ კლასიკას" მე-2ნ. **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ხარება და გოგია"** მე-2ნ. **16.45** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.10** დოკ. ფ. "ცამეტი ასურელი იმამის ნამოღვაწარი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"გაზაფხული გადის"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "13 ასურელი მამა" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**20 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6766 | ევრო —2,4901 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672 | რუსული რუბლი — 0,0612 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-25, ღამით — 11-15

**დასავლეთ საქართველო:** საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-28, ღამით — 16-17

**სამხრეთ საქართველო:** საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-18, ღამით — 5-13

## ამინდის პროგნოზი 20 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146




# კრის ბოტი და სტინგი ბათუმში ჩამოვლენ

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ვარსკვლავები კრის ბოტი და სტინგი ზაფხულში ბათუმს ესტუმრებიან, სადაც ერთობლივ კონცერტს გამართავენ. როგორც საქართველოს კულუტრისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე კონცერტის ორგანიზატორებმა განაცხადეს, ბათუმში დაგეგმილ კრის ბოტის კონცერტს საპატიო სტუმრის სტატუსით სტინგი დაესწრება. იგი კონცერტში განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას.

სტინგი იგივე გორდონ მეთიუ თომას სამნერი 16 გრემის მფლობელი და ოსკარის ნომინანტია საუკეთესო სიმღერისთვის. მან კარიერა ჯგუფ „პოლისის" ვოკალისტად დაიწყო, შემდეგ კი დიდ წარმატებას სოლო შემოქმედებით მიაღწია. შოუბიზნესში მოღვაწეობის პერიოდში სტინგმა არაეთრი

გაგრძელება მე-10 გვერდზე



# უეფას კოეფიციენტებით საქართველო 36-ე ადგილზეა

ერთი დიდი მატჩიც და ევროტურნირების კიდევ ერთი სეზონი დასრულდება. თუმცა, 28 მაისს ლონდონის „უემბლიზე" გასამართი „მანჩესტერ იუნაიტედი"-„ბარსელონა" ქართული კლუბების კოეფიციენტებზე ვერ იმოქმედებს — საქართველოს ჩემპიონატი, უეფას ბოლო ხუთი წლის მონაცემებით, 36-ე ადგილზეა.

შეხსენებისთვის, ჩემპიონთა ლიგასა და ევროპის ლიგაზე ამა თუ იმ ქვეყნიდან გამსვლელი გუნდების კვოტა (და პლუს ვინ რომელი ეტაპიდან დაიწყებს) სწორედ ბოლო ხუთი წლის კოეფიციენტებით დგება. სადღეისო მონაცემებით კი საქართველოს ევროტურნირებზე ჩემპიონთა ლიგაზე ერთი გუნდის გაყვანის უფლება აქვს, ხოლო ევროლიგაზე — 3-ის. ამ სამეულიდან ერთი თასის მფლობელია, ხოლო დანარჩენ ადგილებს 2-3-ადგილოსანი გუნდები ავსებენ.

საქართველოს, ჯამში, 6.957 აქვს და ყველაზე მაღალი კოეფიციენტი გასულ სეზონში დაუგროვდა — 1.875. ჩვენ წინ მყოფი ლატვიელთა კოეფიციენტი კი 7.415-ია.

**ევროპის 53-ვე ქვეყანა კოეფიციენტების მიხედვით ასეა დაწყობილი:**

1.ინგლისი, 2.ესპანეთი, 3.გერმანია, 4.იტალია, 5.საფრანგეთი, 6.პორტუგალია, 7.რუსეთი, 8.უკრაინა, 9.ჰოლანდია, 10.თურქეთი, 11.საბერძნეთი, 12.დანია, 13.ბელგია, 14.რუმინეთი, 15.შოტლანდია, 16.შვეიცარია, 17.ისრაელი, 18.ჩეხეთი, 19.ავსტრია, 20.კვიპროსი, 21.ბულგარეთი, 22.ხორვატია, 23.ბელარუსი, 24.პოლონეთი, 25.სლოვაკეთი, 26.ნორვეგია, 27.სერბეთი, 28.შვედეთი, 29.ბოსნია, 30.ფინეთი, 31.ირლანდია, 32.უნგრეთი, 33.მოლდოვა, 34.ლიტვა, 35.ლატვია, 36.საქართველო, 37. აზერბაიჯანი, 38.სლოვენია, 39.მაკედონია, 40.ისლანდია, 41.ყაზახეთი, 42.ლიხტენშტაინი, 43.ჩერნოგორია, 44.ალბანეთი, 45.ესტონეთი, 46.უელსი, 47.სომხეთი, 48.მალტა, 49.ჩრდილოეთ ირლანდია, 50.ფარერები, 51.ლუქსემბურგი, 52.ანდორა, 53.სან-მარინო.

მ. ჟ.


# 16 მაისიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 5**

## სერვანტესი

**გაზეთი და წიგნი ერთად**

**8 ლარი**


## ასტროპროგნოზი

20 მაისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — გზიდან ფულს მიიღებთ და ახალ ამბავს გაიგებთ. **კირჩხიბი** — ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ, მთავარია უკან არ დაიხიოთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — ბედი გწყალობთ, საქმე კარგად წაგივათ. **ღრიანკალი** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **მშვილდოსანი** — არ გაფლანგოთ დრო, არც — ფული. **თხის რქა** — ეს დღე მეგობრებთან ერთად გაატარეთ, მათგან კარგ ამბავს გაიგებთ. **მერწყული** — რისკი არ არის გამართლებული, მშვიდად იმოქმედეთ. **თევზები** — თუ მოინდომებთ, საწადელს აისრულებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 2. ეგვიპტის ნახევარკუნძული წითელ ზღვაში; 3. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 4. ძალზე მტკიცე მინერალი; 6. პოლიციის მოხელე ძველად; 9. ქართული ხურდა ფული; 11. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 15. წყალქვეშა ნავის ძველი სახელწოდება; 16. ქართველ ქალთა ცეკვა; 17. თევზის ქვირითისგან დამზადებული ძვირფასი საკვები პროდუქტი; 19. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული სახელწოდება; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

**თარაზულად:** 5. კინოცენტრი ინდოეთში; 7. მიკროსკოპის ნაწილი; 8. ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 10. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 12. იმრე კალმანის ოპერეტა; 13. პროფესიონალი მონადირე; 14. აეროპორტი კიევში; 18. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 20. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 23. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 24. ბრაზილიის ნაკრებისა და „რეალის" ფეხბურთელი; 25. ფირმა „ფიატის" მფლობელთა გვარი; 26. პურის საცხობი; 27. უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტი ან გეგმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი